გაზაფხულს—მომზადებული შეხვედრა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 21 (12533) | პარასკევი, 25 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ემზადებიან კაზათელები

ამ დღეებში ენერგიული შრომაა გაჩაღებული ზუგდიდის რაიონის კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეები გონივრულად იყენებენ ზამთრის ხელსაყრელ ამინდებს და საფუძველს უყრიან მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

კახათის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა (თავმჯდომარე ს. ჭეჟია, პარტიიურის მდივანი დ. შენგელია) გულმოდგინედ მოკკიდეს ხელი საზამთრო სამუშაოთა ვადაზე ადრე შესრულების საქმეს. კახათელებმა მზრალად მოხნეს 230 ჰექტარი სასიმინდე ფართობი. ხვნის დავალება წარმატებით შეასრულეს ტრაქტორისტებმა ა. ჩიქავამ, რ. ფანცულაიამ, მ. შელიამ და სხვებმა.

ამჟამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების გადაბარვა, მინერალური სასუქების შეტანა, წყალსაწრეტი არხების ამოწმენდა და პლანტაციის ფუმიგაცია.

გ. ალშიბაია.

ტექნიკას წარმატება მოაქვს

სოფელ ფუთის აკ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა ზესტაფონის რაიონში. შარშან ყურძნის მოსავლიანობის გეგმას ჰექტარზე ექვსი ცენტნერით გადავაჭარბეთ. უხვად მივიღეთ სიმინდიც, ხოლო თვითეულ ძროხაზე გეგმის გადამეტებით მიღებულია 300 კილოგრამი რძე.

თავდადებული და მონდომებული შრომით გაიზარდა კოლმეურნეობის შემოსავალი და შრომადღის ღირებულება. თუ 1960 წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 78.430 მანეთი შეადგინა და აქედან შრომადღეებზე მხოლოდ 19 პროცენტი განაწილდა, 1962 წელს ფულადი შემოსავალი 135.000 მანეთამდე გაზარდეთ და შრომადღეებზე 53 პროცენტს ვანაწილებთ.

შვიდწლედის მეხუთე წლისათვის ჩვენ გადიდებული ვალდებულებანი ავიღეთ და მუშაობაც გავაჩაღეთ. ვენახენი რიგთაშორის დავამუშავეთ, სიმინდისათვის ნიადაგი მზრალად მოვხანთ, შევიტანეთ სასუქები.

აგრონომი ციალა გელაშვილი, ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის ა.კ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჩაის პლანტაციებში

ოჩამჩირე. (საკ. კორ.). გასული სამეურნეო წელი წარმატებით დაამთავრა ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ტ. სოსელია) კოლექტივმა, რომელმაც სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიპყიდა რამდენიმე ათეული ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ნედლეული.

ახლა მეურნეობის მუშები წარმატებით ჩაებნენ შვიდწლედის მეხუთე წლის ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის გაწლილ შეჯიბრებაში. წელს მოქვის მეურნეობაში გეგმით მექანიზებული წესით უნდა დამუშავნონ 120 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რაც საგრძნობლად შეამცირებს ხელით შრომის დანახარჯებს. მეურნეობაში მექანიზებულად უკვე დამუშავებულია და მინერალური სასუქები შეტანილია 60 ჰექტარზე.

განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად შრომობენ კომუნისტური შრომის ბრიგადაში, რომელსაც აგროტექნიკოსი გ. გადელია ხელმძღვანელობს ამ ბრიგადის წევრები სანიმუშოდ უვლიან ჩაის პლანტაციებს. მათ უკვე დაამუშავეს 14 ჰექტარი პლანტაცია.

სურათზე: ჩაის პლანტაციების მექანიზებული დამუშავება ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო გ. ტოლმაჩოვისა.

კვადრატულ-ბუდოგრივად

—ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ შვიდწლედის მეხუთე წლის გაზაფხულს! — ამ დევიზით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს კოლმეურნეობა „საქართველოში“ (თავმჯდომარე გ. ახალაია). ტრაქტორისტებს ვაჟა და ამირან დანელიებს ურთიერთ შორის შეჯიბრება გაუჩაღებიათ. ისინი პირველობას არავის უთმობენ. მათი ბეჯითი შრომის შედეგად კოლმეურნეობამ უკვე მთლიანად მოამზადა ნიადაგი სიმინდის დასათესად.

კარგი თესლი უხვი მოსავლის საწინდარია. ეს ცნობილი ჭეშმარიტება არ დავიწყებიათ ლეხაინდრაოელ კოლმეურნეებს. უკვე მზად აქვთ სიმინდის თესლი. აქ წელს სიმინდს ძირითადად პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდოგრივად დათესავენ. ამისათვის უკვე შეაკეთეს და სრულ მზადყოფნაშია 2 სათესი მანქანა. გარდა ამისა, სპეციალურად შეარჩიეს გამოცდილი მთესავები.

ლეხაინდრაოელმა კოლმეურნეებმა შარშან პირველად 9 ჰექტარზე დათესეს ბარდა, მოსავალიც კარგი მიიღეს. უკვე აქვთ გამოცდილება. წელს ბარდას ორჯერ მეტ ფართობზე დათესავენ. ახლა იმარაგებენ საჭირო თესლს.

კოლმეურნეები არც ჩაის პლანტაციას ტოვებენ უყურადღებოდ. დასასრულს უახლოვდება მწკრივთა შორის ნიადაგის გადაბარვა ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქის შეტანით. აქ ჩაის ახალი პლანტაცია 5 ჰექტარზე გააშენეს. ასეთი იყო გეგმა. ეს სამუშაო კვლავ გრძელდება.

შ. ზანათელი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

წყალტუბო. (საკ. კორ.). ოცდაათი წელია, რაც თადეოზ გიგიაძე ტრაქტორისტია. მისი მარჯვენა კომბაინსაც მართავს, ავტომანქანასაც. მან ათობით ჭაბუკს შეასწავლა მანქანის მართვა.

თ. გიგიაძე ახლა სოფელ ოფშკვითის კოლმეურნეობაში მუშაობს, მექანიზატორთა ბრიგადას უძღვება. „საქსოფლტექნიკის“ წყალტუბოს განყოფილებაში ამ დღეებში მოეწყო მექანიზატორთა კვალიფიკაციის შემოწმება. გამოცდილ მექანიზატორს პირველს მიენიჭა პირველი თანრიგის მექანიზატორის კვალიფიკაცია.

პირველი თანრიგის მექანიზატორები არიან აგრეთვე სოფელ მუხიანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი დ. აფრიდონიძე, ფარცხანაყანევის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი ალ. თევდორაძე, მაღლაკელი გ. ჟორჟოლიანი, საყულელი ე. ნამიჭეიშვილი, წყალტუბოელები გ. ხაინდრავა, შ. მაჩალაძე.

ᲦᲘᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲒᲘᲔᲥᲢᲘᲓᲐᲜ

რაჯომ ფერხდება დიდი ქიმიის მშენებლობა?

დიდი ქიმიის რუსთაველ მშენებლებს ღრმად აქვთ შეგნებული იმ ამოცანების სიდიადე, რომლებიც ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების საქმეში დასახეს XXII ყრილობამ და ნოემბრის პლენუმმა.

გავეცანით რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებას ქიმიური ინდუსტრიის მშენებელთა ძვირფასი თაოსნობის შესახებ, ახალი ვალდებულება ვიკისრეთ. სინთეზური ბოკოკის ქარხანა, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, ერთ-ერთი მძლავრი ქიმიური საწარმო იქნება ჩვენს რესპუბლიკაში. მისი მშენებლობის ვადაზე ადრე დამთავრება ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა. ქარხნის მშენებელ-მემონტაჟეები ძალასა და გამოცდილებას არ ვზოგავთ, რათა დროზე ჩავაყენოთ მწყობრში ეს მეტად მნიშვნელოვანი ქიმიური გიგანტი.

მაგრამ ამ სურვილის შესრულებაში ხელს გვიშლის მთელი რიგი მიზეზები, რომელთა აღმოფხვრა, სამწუხაროდ, ჩვენზე როდია დამოკიდებული. სამართლიან პრეტენზიას ვუყენებთ საქართველოს სსრ საშენ მასალათა სამმართველოს (უფროსი გ. ცინცაბაძე) და რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს (მინისტრი თ. დავითაშვილი). საქმე ის არის, რომ წელს იანვარში დროულად ვერ ვმარაგდებით ხარისხიანი ქვიშითა და ხრეშით, იმის გამო, რომ მათ 21 დღეში დაგვაკლეს 12 ათასი კუბმეტრი ქვიშა, არ დაიცვეს ქვიშის სისუფთავის ნორმები, მშენებლობის ოცი დღის გეგმა 34 პროცენტით შეგასრულეთ.

რუსთავის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატმა ვერ მოგვამარაგა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით. დაგვაკლო დაახლოებით 3.000 კუბმეტრი საშენი მასალა. გამოთვლილია, რომ საშენი მასალების უქონლობის გამო ყოველდღიურად ცდება 300-400 კაცი.

გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მივმართავთ რა ამ ღია ბარათით, იმედს გამოვთქვამთ, რომ საშენ მასალათა სამმართველო და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო გაითვალისწინებენ იმას, რომ დიდი ქიმიის მშენებლობა საყოველთაო-სახალხო საქმეა და დაგვეხმარებიან ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

ქიმიური ობიექტების რუსთაველ მშენებელთა დავალებით:

შ. მოდებაძე, ვ. ჩუბინიძე, ა. ბორბაძე, ხ. ბაზრობი, მშენებელთა კომპლექსური ბრიგადების ხელმძღვანელები.

სოფლის მუშრომელთა მეგზრძოლი ორგანიზატორები

საბჭოთა სოფლის ცხოვრებაში ხდება დიდი ცვლილებანი, რომლებიც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადწყვეტილებებმა, გამსხვილდა წინათ არსებული სასოფლო რაიონები და ამ საფუძველზე შეიქმნა საწარმოო სამმართველოები. ყველგან შეიქმნა დამოუკიდებელი სოლქო და სამხარეო სასოფლო-სამეურნეო პარტიული ორგანნიზაციები, მუშაობა დაიწყეს საწარმოო სამმართველოთა პარტიულმა კომიტეტებმა.

პარტიული ორგანოების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელსაც საფუძველად უდევს საწარმოო პრინციპი, საშუალებას გვაძლევს უფრო კონკრეტულად, კვალიფიციურად ვუხელმძღვანელოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარებას. სოფლის პარტიული ორგანოების მთელი საქმიანობის მთავარი მიმართულებაა ბეჯითი ბრძოლა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

საწარმოო სამმართველოთა პარტიული ორგანიზაციების, სოლქო და სამხარეო სასოფლო-სამეურნეო პარტორგანიზაციების განვლილმა კონფერენციებმა ყოველმხრივ განხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა განხორციელების, მარცვლეულის მეურნეობისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის კონკრეტული გზები. კონფერენციებმა დაავალეს პარტიულ კომიტეტებს მებრძოლურად გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა მასებში, სოფლის მშრომელთა ღონისძიებანი მოახმარონ იმას, რომ გონივრულად გამოიყენონ მიწა, ავამაღლონ მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების რეზერვები.

სამმართველოთა პარტიულ კომიტეტებს თავიანთ მომავალ დიდ მუშაობაში ჰყავთ საიმედო დასაყრდენი — კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ეს ორგანიზაციები უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ, გაიზარდნენ, შეიძინეს დიდი გამოცდილება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ ასეულ ათასობით კომუნისტს, თავიანთ გავლენას ავრცელებენ მეურნეობის ყველა უმნიშვნელოვანეს უბანზე.

ბევრ დიდ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა პარტიული კომიტეტები, ხოლო ბრიგადებში, განყოფილებებსა და ფერმებში — პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიული ჯგუფები. სოფლის კომუნისტთა შორის ახლა გაცილებით მეტია სპეციალისტი, მექანიზატორი, წარმოების მოწინავე. ამან გაამრავლა პარტიული ორგანიზაციების ძალები და საშუალებას აძლევს მაო დამოუკიდებლად, საქმის ღრმა ცოდნით გადაწყვიტონ ბევრი სასოფლო-სამეურნეო საკითხი.

რა თქმა უნდა, საწარმოო სამმართველოთა პარტიულ კომიტეტებს არ შეუძლიათ არ გაითვალისწინონ ეს. უკვე პირველი ნაბიჯები-დანვე ისინი მეტად აქტიურ დახმარებას უნდა უწევდნენ პირველად პარტორგანიზაციებს. იმაზე, თუ როგორ დაეყრდნობიან სამმართველოთა პარტიული კომიტეტები თავიანთ მუშაობაში პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ბევრად არის დამოკიდებული იმ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები როლის შესრულება, რომელიც დაკისრა მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა.

საქმე ეხება იმას, რომ გავაძლიეროთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობა და გავლენა, დავეხმაროთ კიდევ უფრო მოუახლოვდნენ საზოგადოებრივ წარმოებას, მეტი ინიციატივა და დამოუკიდებლობა გამოიჩინონ. ამისათვის კი საჭიროა უკეთ გამოიყენონ კომუნისტთა ძალები, ავამაღლონ ყოველი მათგანის პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მკვეთრად გაადიდონ მიმდინარე წელს მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება.

მხოლოდ იმით, რომ გადაჭრით ავამაღლებთ კომუნისტთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი წარმოების საქმისათვის, განვავითარებთ მათ ინიციატივას, სწრაფად აღმოვფხვრით ნაკლოვანებებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში. უკეთ გამოვიყენებთ რეზერვებს, მტკიცე საფუძველს ჩავუყრით უხვ მოსავალს, დიდ შემოსავალს შვიდწლედის მეხუთე წელს. პარტიულ კონფერენციებზე მოიყვანეს ბევრი მაგალითი იმისა, თუ რა თავდადებით იბრძვიან სოფლის კომუნისტები სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. პატივისცემით ასახელებდნენ დელეგატები კომუნისტებს — კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ბრიგადიერებს, მექანიზატორებს, მწველავებს, მეღორეებს, რომელთა შემოქმედებითმა შრომამ ხელი შეუწყო ბევრ მეურნეობას მკვეთრად გაეზარდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ПРАВДА

24 იანვრის მოწინავე

უსტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე დიდად შეიფასეს კოლმეურნეობა „გამარჯვების“ პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა. კომუნისტები აქ ყოველივე ახლის, მოწინავის ორგანიზატორები და გამავრცელებლები არიან. ისინი ხელმძღვანელობენ ბრიგადებს, რგოლებს, ფერმებს, მუშაობენ ტრაქტორისტებად, კომბაინერებად, ასრულებენ ყველაზე ძნელ დავალებებს. ისინი ეხმარებიან კოლმეურნეებს გაუმჯობესონ სათესი ფართობების სტრუქტურა, დანერგონ ყველაზე ხელსაყრელი, მაღალპროდუქტიული კულტურები. მიუხედავად გასული წლის არახელშემწყობი მეტეოროლოგიური პირობებისა, არტელსა კარგი მოსავალი მოიწია, საშუალოდ ჰექტარზე აღებულია თითქმის ორმოცი ცენტნერი ხორბალი.

ამასთან ერთად კონფერენციებზე გამოავლინეს არსებული ნაკლოვანებანი პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში. სერიოზულად გააკრიტიკეს უდმურტეთის ასსრ უვის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი პარტიული კომიტეტი და პარტიული ბიურო. ამ მეურნეობებში ცუდათაა განაწილებული კომუნისტთა ძალები. პარტიული ორგანიზაციები უარგდებიან იმას, რომ ბრიგადებსა და ფერმებს ხელმძღვანელობენ მოუმზადებელი და უინიციატივო მუშაკები.

სოფლის კომუნისტები უნდა იყონ უწინარეს ყოვლისა ის, სადაც მატერიალური ფასეულობანი იქმნება—წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. შრომის პირადი მაგალითით ისინი უნდა რაზმავდნენ ადამიანებს, უძღვებოდნენ მათ, არ ურიგდებოდნენ ნაკლოვანებებს, უძრაობას, ბეჯითად იბრძოდნენ იმისათვის, რომ ფართოდ დანერგონ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები.

სოფლის კომუნისტთა პარტიული მოვალეობა ის არის, რომ მთელი ძალ-ღონე იზრუნონ მთავარი საქმისათვის — წარმოებისათვის. წელს, შვიდწლედის მეხუთე წელს, საჭიროა დასკვნები გამოვიტანოთ გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებიდან. ამბობაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი აღნიშნულია, რომ საჭიროა „ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲐᲫᲔᲠᲘᲡᲐᲓ ᲩᲐᲒᲔᲑᲐᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲦᲠᲛᲐᲓ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲝᲡ 1962 ᲬᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ...“ ასეთი ანალიზი საჭიროა იმისათვის, რომ უფრო გარკვევით დაინახონ მეურნეობის გაძლილის ყველა ძლიერი და სუსტი მხარე, იცოდნენ სად არის ხარვეზები და შეცდომები წარმოების ხელმძღვანელობაში, რა ღონისძიებანია საჭირო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ყოველივე ამის მეოხებით მათი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უფრო მიზანსწრაფული, კონკრეტული, ქმედითი იქნება.

ახლა სოფლის კომუნისტების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთავარი საზრუნავი ის არის, რომ სანიმუშოდ მოემზადონ საგაზაფხულო თესვისათვის და წარმატებით გამოაზამთრონ პირუტყვი. მანქანებისა და ინვენტარის შეკეთება, თესლის გაწმენდა, სასუქის დაგროვება, სათესი ფართობების ყველაზე ხელსაყრელი სტრუქტურის შერჩევა, შრომატევად პროცესთა მექანიზაცია ფერმებში, მასობრივი კვალიფიკაციისა, და უწინარეს ყოველისა მექანიზატორთა კადრების მომზადება — ასეთია ძირითადი სამუშაოები, რომლებიც უნდა სრულდებოდეს კომუნისტების ყველაზე აქტიური მონაწილეობითა და მათი ყოველდღიური კონტროლით.

ავამაღლოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის დონე, სოფლის ყველა კომუნისტის საქმიანობა დავუქვემდებაროთ წარმოების ამოცანებს — ეს ნიშნავს უზრუნველვყოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა.

სკკპ დელეგაცია ბერლინიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის მუშაობაში, 24 იანვარს სამშობლოში დაბრუნდა.

ბრესტში დელეგაციას შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი და ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **კ. ტ. მაზუროვი,** ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ი. კოზლოვი,** ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ტ. ი. კისელიოვი,** ბრესტის ოლქის ხელმძღვანელი მუშაკები.

დელეგაციის მეთაური — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ს. ხრუშჩოვი** რამდენიმე დღეს გაატარებს ბელორუსიაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ვ. პოდგორნი** ბრესტიდან კიევს გაემგზავრა.

დელეგაციის სხვა წევრები 24 იანვარს მოსკოვში ჩავიდნენ. (საკდესი).

წერილეგის გაცვლა ნ. ს. ხრუშჩოვსა და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებას შორის

ბერლინი, 24 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ აუწყებს, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნა წერილი, რომელშიც საზოგადოების წევრები გამოთქვამენ აღფრთოვანებას და იწონებენ ნ. ს. ხრუშჩოვის კამპანიას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე. როგორც საზოგასმულია წერილში, საზოგადოების წევრებს და რესპუბლიკის ყველა მშრომელს კარგად ესმით ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების გადიდებას დასავლეთ გერმანიასთან შეჯიბრებაში.

წერილის ავტორები აცხადებენ, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რომ მისმა წევრებმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელმა კიდევ უფრო უკეთ გამოიყენონ სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთო საქმის საკეთილდღეოდ დიდი შესაძლებლობანი. ოთა გაადიდონ შრომის ნაყოფიერება საბჭოთა კავშირის მშრომელებთან თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების გზით.

„ნოიეს დოიჩლანდი“ ბეჭდავს აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო წერილს საზოგადოების პრეზიდიუმისადმი. ნ. ს. ხრუშჩოვი მადლობას იხდის გულთბილი მისალმებისათვის და საზოგადოების წერილი მიაჩნია საბჭოთა კავშირთან მეგობრობის გამოხატულებად, საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის მოწონებად.

თქვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, ნათქვამია წერილში, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. თქვენი მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთობის გაფართოების მეოხებით გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა.

როგორც აღნიშნულია შემდეგ წერილში, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყველა წევრის აქტიური მონაწილეობა იმ ისტორიული ამოცანების შესრულებაში, რომლებიც დასახულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში, დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისა და მთელი სოციალისტური ბანაკის განმტკიცების საქმეში.

ნ. ს. ხრუშჩოვი ახალ დიდ წარმატებებს უსურვებს საზოგადოებს მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

რაუდ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 23 იანვარი. (საკდესი). აქ გაიმართა კუბის დედაქალაქის მშრომელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა მუშათა კლასის გამოჩენილი მებრძოლის, თვალსაჩინო პროფკავშირული მოღვაწის ხესუს მენენდესის ხსოვნას. იგი იმპერიალიზმის დაქირავებულებმა მოკლეს 1948 წელს. კრებაზე სიტყვა წარმოთქვა კუბის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრმა რაულ კასტრომ.

15 წლის წინათ, თქვა კასტრომ, ჩადენილია ამერიკელ მაგნატთა მიერ ნაკარნახევი დანაშაული, მოჰკლეს ხესუს მენენდესი. ხესუს მენენდესის მკვლელები ხელაყოფდნენ არა მარტო მის სიცოცხლეს, არამედ მშრომელთა მთელ ბრძოლასაც, მუშათა კლასის გაერთიანებას, მის პროტესტებს ამერიკული ჩაგვრის წინააღმდეგ. დღეს, როცა რევოლუციური ძალაუფლება დამკვიდრდა, როცა ჩვენი ხალხი საკუთარი ხელით აშენებს სოციალიზმს, როცა ამერიკის იმპერიალიზმი გვემუქრება და ცდილობს ყოველი საშუალებით ჩაგვახშოს, შეაფერხოს ჩვენი წინსვლა, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტუუულად როდი დაიღვარა იმათი სისხლი, ვინც ბრძოლაში დაიღუპა.

იმპერიალისტები ჩვენს ქვეყანაში განადგურებული არიან, თქვა რაულ კასტრომ. მაგრამ მათ კიდევ შეუძლიათ შემოგზავნონ ჩვენში თავიანთი აგენტები, პროვოკატორები, გვემუქრებიან აგრესიით. ამ მუქარით ვერ შეგვაშინებენ. ჩვენ გვაქვს იარაღი, რომელიც საბჭოთა კავშირმა და სოციალისტურმა ქვეყნებმა მოგვცეს, ვიცით ამ იარაღით სარგებლობა, რომ გავანადგუროთ აგრესორი და მისი აგენტები.

თავისი სიტყვის დასასრულს რაულ კასტრომ მოუწოდა კუბელ ხალხს, რომ დაუცხრომლად განამტკიცოს ერთობა საშინაო და საგარეო ფრონტებზე ძმური სოციალისტურ ოჯახში.

ᲥᲝᲖᲔᲤ ᲘᲚᲔᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ-ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲙᲐᲢᲐᲜᲒᲐᲨᲘ

ლონდონი, 23 იანვარი. (საკდესი). ჟოზეფ ილეო, ადულას მთავრობის ინფორმაციის ყოფილი მინისტრი, დღეს ჩავიდა ელიზაბეტვილში. იგი დაიკავებს კონგოს ცენტრალური მთავრობის პირველი მინისტრ-რეზიდენტის პოსტს ელიზაბეტვილში.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, აეროპორტში ილეოს შეხვდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი თანამდებობის მოხელეები და უცხოელი კონსულები. კატანგის არც ერთი „მინისტრი“ არ ყოფილა შეხვედრაზე.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲡᲐᲣᲮᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲒᲝᲚ

ადის-აბება, 24 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შერიგება კოლონიზატორთა მარიონეტ ჩომბესთან ეთიოპიის საზოგადოებრიობის ყურადღების დაძაბვას იწვევს. გაზეთი „ეთიოპიენ ჰერალდი“ მოწინავე სტატიაში წერს: ჩომბე რომ დატოვონ კატანგის პროვინციის მეთაურად, შეიძლება წარმოიშვას ახალი კრიზისი. გაზეთი მხურვალედ უჭერს მხარს განის მთავრობის მოთხოვნას. ჩომბეს სამართალში მიცემის შესახებ. ჩომბემ, ხაზგასმით აღნიშნავს „ეთიოპიენ ჰერალდი“, პასუხი უნდა აგოს პატრის ლუმუმბასა და ასობით სხვა კონგოელის დახოცვისათვის.

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

დასავლეთი ბერლინი, 23 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი მ. პანშინი იტყობინება: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუბკე დღეს დასავლეთ ბერლინში ჩამოვიდა მორიგ ვიზიტად. ამ ვიზიტის პროვოკაციულ ხასიათს, რომელიც 13 დღეს გასტანს, ხაზს უსვამს ის, რომ „საფრონტო ქალაქში“ ყოფნის დროს ლუბკე აპირებს განახორციელოს პრეზიდენტის მოვალეობანი, ესე იგი შეასრულოს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობანი, რომელსაც არავითარი უფლებები არა აქვს დასავლეთ ბერლინში. მისი ვიზიტის ოფიციალურ პროგრამაში, კერძოდ, შედის მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის ცერემონიაში, რაც ყოველწლიურად ეწყობა აქ, აგრეთვე შეხვედრები დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრ ბრანდტთან.

„საფრონტო ქალაქის“ მმართველები ამ ვიზიტს იყენებენ, რათა დემონსტრაციულად გაუსვან ხაზი, რომ ეთანხმებიან ბონის პრეტენზიებს დასავლეთ ბერლინის მიმართ.

ᲩᲔᲮᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲐᲒᲝᲚ

ადის-აბება, 24 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შერიგება კოლონიზატორთა მარიონეტ ჩომბესთან ეთიოპიის საზოგადოებრიობის ყურადღების დაძაბვას იწვევს. გაზეთი „ეთიოპიენ ჰერალდი“ მოწინავე სტატიაში წერს: ჩომბე რომ დატოვონ კატანგის პროვინციის მეთაურად, შეიძლება წარმოიშვას ახალი კრიზისი. გაზეთი მხურვალედ უჭერს მხარს განის მთავრობის მოთხოვნას ჩომბეს სამართალში მიცემის შესახებ. ჩომბემ, ხაზგასმით აღნიშნავს „ეთიოპიენ ჰერალდი“, პასუხი უნდა აგოს პატრის ლუმუმბასა და ასობით სხვა კონგოელის დახოცვისათვის.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ

ვაშინგტონი, 24 იანვარი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის ნ. ტ. ფედორენკოსა და 18 ქვეყნის განიარაღების კომიტეტში საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ს. კ. ცარაპკინის მეექვსე შეხვედრა ამერიკის შეერთებული შ

თესვისათვის მზადება —ბელის ანაბრად

საზოგადოებრივი კონტროლის ჯგუფი მოქმედებს

დეკემბერსა და იანვრის პირველ ნახევარში მეტწილად თბილი და მზიანი ამინდი იყო. გაზაფხულისათვის მზადების ეს საუკეთესო პირობები ბევრგან ხელიდან გაუშვეს.

ჯერ ადრეა, თესვისათვის მომზადებას მაინც მოვასწრებთო, — ამბობდნენ კოლმეურნეობებისა და თვით საწარმოო სამმართველოს ხელმძღვანელები.

ასე გულდამშვიდებული იყვნენ ყოფილი ცხინვალისა და ზნაურის რაიონების კოლმეურნეობებში და საწარმოო სამმართველოში.

საწარმოო სამმართველომ ორგანიზატორული როლი ვერ გამოიჩინა. კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება შემოდგომიდანვე კი არ გააძლიერა, არამედ მკვეთრად შეასუსტა. ამან გამოიწვია ის, რომ თესვისათვის მზადება კოლმეურნეობებში შეუწყნარებელ მდგომარეობამდე მივიდა. კოლმეურნეობების გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათავეში ვერ ჩაუდგნენ თესვისათვის სანიმუშოდ მომზადების საქმეს.

აბა წარმოიდგინეთ, თესლისა და ტექნიკის უქონლად როგორ უნდა შეხვედ გაზაფხულს ან როგორ უნდა მოიყვანონ უხვი მოსავალი, როცა ცოდად არის თესლის მომარაგებისა და კონდიციამდე აყვანის საქმე. ყოფილი ცხინვალის რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის 17 იანვრის ცნობებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგანგაშო მდგომარეობაა. გაზაფხულის ხორბალი გეგმით საჭიროა 413 ცენტნერი. ფაქტიურად აქვთ 290 ცენტნერი და აქედანაც 210 ცენტნერი უკონდიციოა.

იქნებ გაზაფხულის ქერი ჰქონდეთ მზად?

გეგმით საჭირო 844 ცენტნერიდან მოიმარაგეს 630 ცენტნერი და ისიც მთლიანად უკონდიციოა. ეს ფაქტი მეტად დამფიქრებელია. მართალია, სიმინდის თესლი საკმაოდ გამოჰყვეს, მაგრამ ხარისხი? ეს დაივიწყეს. შემოწმებული 1.538 ცენტნერი სიმინდის თესლიდან 1.178 ცენტნერი დაწუნებულია. აკლიათ ლობიოს და სხვა კულტურების თესლი.

ვანათის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ რაკი საკმაოდ გამოჰყვეს სიმინდის თესლი, კიდევაც მზადა აქვთ. მთლიანად 168 ცენტნერი სიმინდის თესლი დაწუნებულია სინესტით. არც დანარჩენი კულტურების თესლი აქვთ მომზადებული.

სოფელ ბელოთში არ ჩქარობენ, თავს არ იწუხებენ. ტექნიკა და თესლი? სწორედ ამ მთავარს არ აქცევენ ყურადღებას. გაზაფხულის ხორბლისა და ქერის თესლი უკონდიციოა. სიმინდის თესლი არა აქვთ. ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა არ იციან, გაზაფხულზე რა კულტურებს დათესავენ. მთითებას „ზევიდან“ მოელიან.

ერთი შეხედვით საქმე არც ისე ცუდად არის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობაში. მზრალად მოხნული აქვთ 1.100 ჰექტარი. უნდა დათესონ 800 ჰექტარი სიმინდი, 150 ჰექტარი ქერი, 100 ჰექტარი ბარდა, 71 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, 63 ჰექტარი ბოსტნეული, 10 ჰექტარი ლობიო (სუფთა ნათესი) და რამდენიმე ათეული ჰექტარი ერთწლიანი, მრავალწლიანი ბალახები და კარტოფილი. თესლი თითქმის საკმარისი აქვთ. აქ საჭირო 544 ცენტნერი ქერის თესლიდან აქვთ 330 ცენტნერი, რომელიც მთლიანად უკონდიციოა. ასევე უკონდიციოა 578 ცენტნერი სიმინდის თესლი. ერედვის საბჭოთა მეურნეობაში 400 ცენტნერი სიმინდის თესლიდან 200 ცენტნერი დაწუნებულია სინესტით. ასევე უკონდიციოა ბარდისა და ლობიოს თესლი.

სულ რამდენიმე დღეა, რაც მუშაობას შეუდგნენ გამსხვეალებული ზნაურის რაიონის საწარმოო სამმართველო და პარტიული კომიტეტი. ჩვენს ხელთ არსებული მასალები მეტყველებენ, რომ ზნაურელებს, როგორც იტყვიან, ერთგვარად წაუმუშავებიათ გაზაფხულის შესახვედრად. ძირითადად საჭირო თესლი მოუმარაგებიათ. მაგრამ თესლის შემოწმების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. გაზაფხულის ხორბლის თესლი აქვთ, მაგრამ შეუწყნარებელია ის, რომ 507 ცენტნერიდან შემოწმებულია 227 ცენტნერი თესლი. შემოწმებული 660 ცენტნერი ქერის თესლიდან 160 ცენტნერი მაინც უკონდიციო აღმოჩნდა. 1.207 ცენტნერი სიმინდის თესლიდან დაწუნებულია 100 ცენტნერი. ლობიოს თესლი არ ჰყოფნით და შემოწმებული 221 ცენტნერიდან 110 ცენტნერი უკონდიციოა. გაზაფხულზე დასათესად საჭირო 500 ცენტნერი ბარდის თესლი, აქვთ მხოლოდ 83 ცენტნერი.

უპასუხისმგებლობა იქამდე მივიდა, რომ ქვათეთრის, ყორნისის, ველების, ფრინვეის კოლმეურნეობებს გაზაფხულის ხორბლის თესლი შესამოწმებლად ლაბორატორიაში სულ არ წარუდგენიათ. ველების კოლმეურნეობის მიერ წარდგენილი 50 ცენტნერი გაზაფხულის ქერი მთლიანად უკონდიციოა. ასევეა ქვათეთრის კოლმეურნეობაში. ჯერჯერობით სულ არა აქვთ ბარდის თესლი ბეკმარის, ყორნისის, თერეგვანის, ველების, ქვათეთრის, ფრინვეის, ზნაურის კოლმეურნეობებს.

ახლა იმათ შესახებ, რომლებიც კარგ ტექნიკას ცუდად უვლიან, ღია ცის ქვეშ წვიმასა და თოვლში მინდრად უყრიათ და გულდამშვიდებული არიან.

საინტერესო იყო „საქსოფლტექნიკის“ ქსუსის სამანქანო-სამელიორაციო სადგურის მუშაობის გაცნობა. დირექტორმა გ. ცხობილაძემ, მთავარმა ინჟინერმა თ. გოგიჩაშვილმა პირველ რიგში დაგვისახელეს მოწინავე მექანიზატორები ნ. მაისურაძე, ალ. ბერუაშვილი, გ. ვახტანგაშვილი, ბ. ბერუაშვილი, ა. ქრისტესიაშვილი, ბ. მამიევი, ს. თედეევი, ახალგაზრდა ტრაქტორისტები ბ. ბერუაშვილი, გ. კობალაძე, გ. ტრანკაძე, ო. ზოზიაშვილი. ისინი მართლაც ქების ღირსნი არიან. მაგრამ ქსუსელები ნაკლოვანებათა გამოვლინებაში ძუნწნი აღმოჩნდნენ.

მიუხედავად ამისა, ფაქტები მაინც ამეტყველდნენ. როგორც გამოირკვა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 86 ტრაქტორი უნდა შეაკეთონ — ჯერ გეგმა არა გვაქვსო — აცხადებენ ხელმძღვანელები. თუმცა ამ მიზეზით კოლმეურნეობების მიხედვით სარემონტო ტექნიკის განაწილება ვერ მოხერხდა! გაურკვეველია, რომელი კოლმეურნეობა რამდენ ტრაქტორს მოიყვანს შესაკეთებლად.

— ვისია ეს შეუკეთებელი ტრაქტორები?

ამ კითხვაზე გვიპასუხეს: ქსუსის კოლმეურნეობისაა ეს ორი „დტ-54“ მარკის ტრაქტორი. თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის ორი ტრაქტორიც მიმდინარე რემონტშია. სოფელ ავნევის კოლმეურნეობის „დტ-54“ მარკის ტრაქტორი კაპიტალურად უნდა შეკეთდეს. ეს კი არცევის კოლმეურნეობის „ბელარუსია“. ამ ტრაქტორების რემონტიდან გამოშვება ჭიანურდება საჭირო ნაწილების უქონლობით.

ამ სადგურში ტრაქტორები შესაკეთებლად დღემდე არ მოუყვანიათ კეხვის, ქემერტის კოლმეურნეობებს და ერედვის საბჭოთა მეურნეობას. მაინც რა ნაწილები აკლიათ? აი ზოგი მათგანი: ძრავის ბლოკი, უკანა ხიდის მორგვები-39.414, მუხლუხა ღერძაკი-32.021, 32.401. არა აქვთ საკისარები და სხვ.

ამ სამანქანო-სამელიორაციო სადგურს თავისი ფილიალი აქვს ზნაურში. სახელოსნოს გამგე ა. მელუა და ახალგაზრდა ინჟინერ-ნეკანიზატორი, ტექნიკის ზედამხედველი გ. გახელაძე გულახდილად ლაპარაკობენ მათ მიერ გაწეულ მუშაობაზე. ბევრი რამ მართლაც საქებია. მაგრამ ისინი დუმან ტექნიკის რემონტისა და მოვლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე.

პირველ კვარტალში უნდა შეკეთდეს თორმეტი ტრაქტორი და შვიდი კომბაინი. კომბაინები ჯერ არც ერთი არ დგას სარემონტოდ. ეს სამუშაო ნაადრევად მიიჩნიეთ.

— ყველაზე სამწუხარო ის არის, — თქვა ინჟინერ-მექანიზატორმა გ. გახელაძემ, — რომ კოლმეურნეობებში ტექნიკა ბედის ანაბარად არის მიტოვებული. რამდენი აქტი, მითითება, განცხადება დაიწერა და ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები კიდეც დაჯარიმდნენ. მაგრამ საქმისათვის მაინც არ შესტკივათ გული. აბა როგორ შეიძლება მოვითმინოთ ასეთი ფაქტი: ფრინვეის კოლმეურნეობაში „დტ-14“ მარკის ტრაქტორს საბურავების უქონლობის გამო დისკებზე ამუშავებენ. ტრაქტორი იმტვრევა, მწყობრიდან გამოდის.

სოფელ ველების კოლმეურნეობაში ტრაქტორისტმა რ. გაგიევმა სამუშაოდან დაბრუნებისას გზაზე გადაჩეხა ტრაქტორი, რომელსაც უკვე კაპიტალური რემონტი დასჭირდა.

ადგილზე მისვლისას აღმაშფოთებელ ფაქტებს წავაწყდით. ქვათეთრის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარეა გ. გაგლოევი, პარტორგანიზაციის მდივანია გ. გაგლოევი, კანტორის უკან ტალახსა და თოვლში უწესრიგოდ ეყარა ტექნიკა: „დტ-54“ მარკის ტრაქტორი, სათესები, გუთნები, კულტივატორები.

ველებისა და ფრინვეის კოლმეურნეობებში ძვირფასი ტექნიკა ღია ცისქვეშ ყრია, იჟანგება და ფუჭდება. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს ვკითხეთ, რატომ ითმენენ ყოველივე ამას? მათ თვითდამშვიდებით გვიპასუხეს: კარგი ამინდები იყო, ახლახან მოვიდა თოვლი, ალბათ კვლავ გამოიდარებსო.

ასეთი უდარდელები დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ.

ეს ფაქტები ალბათ იციან გამსხვილებული საწარმოო სამმართველოსა და ახლახან შექმნილი პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელებმა. როგორ აპირებენ წელს რაიონში 7.948 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურების თესვას? აქედან: გაზაფხულის ხორბალი უნდა დათესოს 40 ჰექტარი, ქერი—783 ჰექტარი, სიმინდი სამარცვლედ — 3.740 ჰექტარი, სასილოსედ — 1.707 ჰექტარი, ლობიო სუფთა ნათესი 320 ჰექტარი, ბარდა — 522 ჰექტარი, შაქრის ჭარხალი — 516 ჰექტარი და სხვ.

ზნაურში ალბათ ისიც იციან, რომ გაზაფხულის თესვისათვის მზადებაში საგანგაშო მდგომარეობაა. თუ ახლავე გადამწყვეტი ღონისძიებანი არ განხორციელდა, ზნაურელებს გაზაფხული მოუმზადებელს მოუსწრებს და შემდეგ საქმეს არ უშველის ფაციფუცი, იერიშობანა.

საზოგადოებრივი კონტროლის ჯგუფის წევრები: **ს. გიწოევი** — თიღვის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი; **ს. ცოტნიაშვილი** — მასწავლებელი; **ა. ჭაბაურიძე**—თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი; **მ. ქოქოევი** — ნულის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი; **გ. გოგორელიანი** — საწარმოო სამმართველოს აგრონომი; **ი. ნადირაძე, ვ. საბანაძე** — „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის თანამშრომლები; **ნ. ჯანჯღავა, ი. თოდიაშვილი** — „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი უმთავრესად დამოკიდებულია მილიონობა შრომითს ღონისძიებებზე, იმ უნარზე, რომ უზრუნველყონ პარტიის პოლიტიკის, სამეურნეო მშენებლობის გეგმების განხორციელება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებიდან.

დოლი გაჩაღდა

დუშეთი. (საკ. კორ.). სოფელ გომბორის კოლმეურნეობას მეცხვარეობის კარგი ფერმა აქვს, სადაც ცხვრის მოვლა-აკატონობის შესანიშნავი ოსტატები შრომობენ. გომბორელების ცხვარი ამჟამად ივრისპირეთის მახლობლად — გარეჯის ზეგანზე ზამთრობს. ფერმის გამგემ ნიკო ხიზანიშვილმა გვითხრა:

— ახალი წლის ეს დღეები კარგად დავიწყეთ, ცხვრის სულადობის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ. ამჟამად ფერმაში სამი ათასზე მეტი ცხვარია, მათ შორის 1.690 ნერბია. ორი წელიწადია, რაც ნერბების ერთ ფარაში ადრეულ დოლს ვატარებთ, ამან კარგი შედეგი მოგვცა. ადრეული დოლობის დროს მიღებულმა ბატკანმა ორასი გრამით მეტი მატყელი გაიპარასა, ვიდრე ჩვეულებრივ.

— ახლა 350 ნერბი დგას ადრეულ დოლში. მათგან ოთხასმა მოგვცა ბატკანი. ბატკნები უკვე დაკუნტრუშობენ, არცერთი არ მოგვკედმია.

ჩვენი მეცხვარეები ნიკო ღრუბელაშვილი, ლევან ჩიტოშვილი, პავლე საღირაშვილი, დავით გუდურაშვილი, ოთარ გაგნიაშვილი, არჩილ საბაშვილი და სხვები თავდადებულად შრომობენ, რომ ცხვარი და ნამატი საუკეთესოდ გამოაზამთრონ.

— მაგრამ ცუდი ის არის, — გულისტკივილით დასძინა ნიკომ,— რომ ზამთრის საძოვრები ძალზე მცირე გვაქვს, ოთხას ჰექტარ საძოვარზე სამი ფარა ძოვს, ამას ემატება ახლადმიღებული ბატკნები, და თუ კომბინირებული საკვებით არ მოგვამარაგეს, ძალიან გაგვიჭირდება.

ᲘᲚᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲚ ᲐᲚᲐᲠᲘᲒᲔᲒᲔᲜ

ზარალიანი ქარხანა

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ შესრულების საერთო მაჩვენებლის მიხედვით ქუთაისის აგურის მექანიზებული ქარხანა (დირექტორი გ. ბუცხოიკიძე, პარტბიუროს მდივანი გ. მოსესეშვილი) ქალაქის ბევრ საწარმოს არ ჩამოუვარდება. ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა 1962 წლის დავალება. მშენებლებმა გეგმის გადამეტებით მიიღეს 239 ათასი ცალი აგური და 201 ათასი ცალი კრამიტი, ხოლო მოსახლეობამ — 9.900 მანეთის კერამიკული ნაწარმი.

თითქოს, ქარხანაში საქმეები კარგად მიდის...

მაგრამ საკმარისია საწარმოო საქმიანობის ეკონომიურ მხარეში ჩავიხედოთ, და დავრწმუნდებით, რომ ეს „საერთო მაჩვენებლები“ სწორად ვერ ასახავენ ქარხნის მუშაობას; პირიქით, მათ მიღმა მეურნეობის ცუდად გაძღოლის, უყაირათობის ბევრი ფაქტი იმალება.

ცნობილია, რომ მოგება ყოველი საწარმოს მუშაობის ხარისხის, მისი საქმიანობის ეფექტიანობის ეკონომიური მაჩვენებელია.

აი სწორედ ამაზე გვინდა ვილაპარაკოთ...

წინა წლებშიც, და გასულ 1962 წელსაც, ქარხანა მოგებით იყო დაგეგმილი. წინა წლებში მართლაც რენტაბელურად იმუშავეს. მარტო 1961 წელს ქარხანამ 21.142 მანეთი მოგება მისცა სახელმწიფოს. მაგრამ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. 1962 წელს ქარხანა ზარალიანი გახდა. ეს მაშინ, როცა სწორედ შარშან საწარმო ერთობ მცირე მოგებით — 4.500 მანეთზე დაგეგმეს. **მოგების ნაცვლად, ქარხანამ გასული წელი დიდი ზარალით დაამთავრა — არა სრული ცნობით 44.878 მანეთი იზარალა.**

რატომ გახდა ქარხანა ზარალიანი?

ქარხნის ხელმძღვანელები ამ კითხვაზე გიპასუხებენ — ადგილზე, ქარხნის ტერიტორიაზე, ხარისხოვანი თიხები შემოიღია, თიხის ახალი კარიერები გაიხსნა სოფელ ბანოჯაში, ქარხნიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით, რის გამო ნედლეულის გადმოზიდვა, ტრანსპორტირება ძვირი გვიჯღვება.

ვეთანხმებით, — ამაში არის სიმართლე. მაგრამ ისიც ხომ სიმართლეა, რომ სწორედ ამ გარემოების გამო წლის მეორე ნახევრიდან, როცა თიხის ნაწილის შემოზიდვა ახალი კარიერებიდან დაიწყეს, ქარხანას საამისო ზარალი დაუგეგმეს? ისიც ხომ სწორია, წლის პირველი ნახევრისათვის დაგეგმილი მოგება სჭარბობდა მეორე ნახევარში დაგეგმილ ზარალს და საერთოდ ქარხანას გასულ წელს 4.500 მანეთი უნდა მოეგო?

ვთქვათ ფულახდილად — მარტოოდენ სატრანსპორტო ხარჯების მომიზეზებით ვერ ავხსნით ასე დიდ ზარალს.

დავიწყოთ პროდუქციის ხარისხით... ქარხანამ გამოშვებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები ვერ დაიცვა. მაღალი ხარისხის 100-მარკის აგური ნაკლები რაოდენობით, ხოლო შედარებით დაბალი ხარისხის 75-მარკის აგური მეტი რაოდენობით გამოუშვა. მართო ხარისხის გაუარესებით იზარალეს 274 მანეთი.

დიდია წუნით გამოწვეული დანაკარგები. ნორმასთან შედარებით გასულ წელს ნედლეულის დაყალიბებისა და გაშრობის პროცესში დანაკარგები 1,8 პროცენტით გაიზარდა. დანაკარგებით გამოწვეულმა ზარალმა 3.807 მანეთი შეადგინა.

გასული წლის უკანასკნელ ორ თვეში **ხელფასის ფონდში გადაჭარჯეს 4.122 მანეთი.**

შემცირების ნაცვლად, შარშან **არასაწარმოო ხარჯები 5.000 მანეთით გაიზარდა.**

ყოველ საწარმოში, სადაც ეკონომიაზე ზრუნავენ, მომჭირნეობათ ხარჯავენ სათობასა და ელექტროენერგიას. აქ კი, უყაირათობის შედეგად, **ზედმეტად გადახარჯულია 20.082 კილოვატსაათი ელექტროენერგია და 139 ტონა ქვანახშირი.**

გამოდის, რომ წარმოების ყველა უბანზე გადახარჯვები და ზარალია, ხოლო მოგებას, ეკონომიურ ეფექტს, სამწუხაროდ, ვერსად წაიწყდები.

ყველაფერი ეს მძიმე ტვირთად დააწვა პროდუქციის თვითღირებულებას. ყოველი ათასი ცალი აგურის თვითღირებულება გაიზარდა 1 მანეთითა და 86 კაპიკით, გადიდდა კრამიტის თვითღირებულებაც.

საერთოდ, პროდუქციის თვითღირებულება აქ 33.798 მანეთით, ანუ 8 პროცენტით გადიდდა. ეს მაშინ, როცა გეგმა მისი 0,7 პროცენტით შემცირებას ითვალისწინებდა.

ცხადია, ზემოთქმულს შემდეგ ასე დიდი ზარალი გასაკვირველი როდია.

ისიც ცხადია, შეიძლება ამ ზარალის მთლიანად ლიკვიდაცია თუ არა, მინიმუმამდე შემცირება მაინც.

შეგვიძლია დავასახელოთ ზოგიერთი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ქარხნის კოლექტივის გამართულ მუშაობას.

ჯერ-ერთი, ბანოჯის კარიერებიდან წვიმიან ამინდში სავსებით წყდება მსუქანი თიხის შემოზიდვა. ასეთი თიხა კი აუცილებლად უნდა აურიონ ადგილზე არსებულ მშლე და დასილიანებულ თიხას. როცა ასე ჯრ ხდება, ირღვევა ტექნოლოგიური პროცესები—ვეღარ იცავენ აგურის ყალიბის გეომეტრიულ ფორმას, ხარისხს, იზრდება დანაკარგები.

საქმე ის არის, რომ უგზოობის გამო წვიმიან ამინდში მთავარი გზიდან კარიერებამდე ვერ მიდის მანქანები.

მეორე მხრივ, არც მექანიზაციისა და მანქანა-დანადგარების რემონტის საქმეა მოგვარებული. ღუმელებამდე გამოსაწვავი აგური მოძველებული და საკმაოდ გაცვეთილი აკვნისებრი ტრანსპორტიორით გადაიქმ, მერე კი ღუმელებში აგური ხელის საზიდრებით შეაქვთ. ასე მუშაობისას ნედლი აგურის ნაწილი იმტვრევა, ეცემა შრომის ნაყოფიერება.

გასული წლის ნოემბრის ბოლოს კაპიტალურ რემონტზე დააყენეს ქარხნის ყველაზე ძძლავრი ექსკავატორი. წარმოდგენილი აქტების მიხედვით რემონტი დაამთავრეს, ასე რომ ამ ახალი წლიდან ექსკავატორი უნდა მუშაობდეს ყოფა. მაგრამ ფაქტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რემონტი საბოლოოდ ანალიზ არ ანიმ. დამთავრებულ, ელექტროგაყვანილობის უქონლობის გამო ექსკავატორი დგას და მას სასინჯი გამოცდა-არ გაუვლია. უწესიერობის გამო არც თუ იშვიათად ცდება საყალიბო წნეხი.

ქარხნის მთავარი მექანიკოსი ბ. ბარბაძე, როგორც ჩანს, გამოცდილი კაცია, მაგრამ ასეთი „წვრილმანები“ რატომღაც მას მხედველობიდან რჩება.

არის მესამე გარემოებაც. ირღვევა შრომითი და საწარმოო დისციპლინა. აგურის დამყალიბებელთა ერთი ნაწილი ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს. ტექნოლოგიურ რეჟიმს არღვევენ და წუნს უშვებენ დამყალიბებლები მ. ბეჭრაშვილი და ვ. გურეშიძე, გამომწველები ქ. უგლავა და დ. მარუაშვილი. ამ უკანასკნელის მიზეზით მარტო დეკემბერში გადაიხარჯა ერთი ტონა ქვანახშირი და წუნი დაედო ათასამდე ცალ აგურს.

სამაგიეროდ ქარხანაში ბევრია მოწინავე წარმოების ნოვატორი. საერთოდ, ქუთაისელ მეაგურეთა შრომისმოყვარე კოლექტივს, რომელსაც არაერთხელ უსახელებია თავი, შეუძლია გაბედულად აიღოს შვიდწლედის მეხუთე წლის მიჯნა და უზარალოდაც იმუშაოს.

ამის ყველა პირობა არის. ოღონდ ქარხნის ხელმძღვანელობა, კოლექტივის თვითეული წევრი ღრმად უნდა ჩასწვდეს წარმოების ეკონომიკას, მომჭირნის თვალით ეფეგდეს და ჰპოვებდეს სულ ახალ რეზერვებს ეკონომიისათვის, რენტაბელობისა და მოგებისათვის.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

პარტიული ქრონიკა

ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲗᲝ ᲘᲕᲡᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. ᲞᲐᲠᲢᲘᲡ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ, ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲗᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ, ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ, ᲝᲚᲥᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲑᲔᲭᲓᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲐᲛᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ. ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲠᲘᲜᲝ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ.

მექანიზატორ გრიგოლ პლოტნიკოვის გამოცდილება

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ „ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲘᲡ“ (ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ) ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲛᲐ �გᲠᲘ�გᲝᲚ ᲞᲚᲝᲢᲜᲘᲙᲝᲕᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲡ ᲐᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ, ᲦᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲥᲘᲗᲐᲖᲔ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲛᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ. ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲘᲡ ᲡᲣᲥᲘᲗᲐᲖᲔ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲛᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ. ᲘᲒᲘ ᲒᲣᲚᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲗᲐ ᲗᲔᲛᲘᲗᲘ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲘ

დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

ამერიკის პრესა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჯ. კენედის შორის წერილების გაცვლის გამო

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ლ. პონომარიოვი იუწყება: ამერიკის პრესა გაცხოველებით განმარტავს წერილების გაცვლას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და აშშ პრეზიდენტს ჯ. კენედის შორის ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხზე. თვალში გვხვდება ის, რომ კომენტარებში აღარ არის სტანდარტული იარლიყები, მიკერებული საბჭოთა კავშირის ყოველი ინიციატივისადმი. პირიქით, დეპეშათა სააგენტოები, გაზეთების მიმომხილველნი ცდილობენ სერიოზულად გაიაზრონ ორი მთავრობის მეთაურთა კონკრეტული მიდგომა მშვიდობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრისადმი. ამასთან დაკავშირებით დამახასიათებელია თვით სტატიების სათაურებიც კი. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ პრესის სამსახურმა ვაშინგტონელი კორესპონდენტის რ. დრუმონდის სტატია ასე დააპატაურა „ხრუშჩოვი კარს აღებს“.

ერთ-ერთ პირველ ხელსაყრელ ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობს შეთანხმების მიღწევას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, ავტორს მიაჩნია ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივა და „მისი პირდაპირი მიმართვა კენედისადმი, განვაახლოთ მოლაპარაკება გამოცდის აკრძალვის შესახებო“. ეს დიპლომატიური ნაბიჯია, რომელიც უდიდეს პოტენციალს შეიცავს, ხაზგასმით აღნიშნავს იგი.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მოსკოველი კორესპონდენტის ს. ტოპინგის კომენტარებში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობის ნაბიჯი დასავლეთელ დიპლომატებს „დამაიმედებლად“ მიაჩნიათ.

მთავრობის ყველა რგოლში, დაწყებული თეთრი სახლით, წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი დ. ფინი, ჭარბობს ოპტიმიზმის ატმოსფერო. მეორე ადგილას იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ პირებს მიაჩნიათ, რომ უკანასკნელი მეცნიერული მიღწევები სეისმური რხევების აღმოჩენის დარგში კარს უღებენ შესაძლებელ კომპრომისს საბჭოთა კავშირთან იმ ინსპექციათა რიცხვის საკითხში, რომლებიც, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, საჭიროა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მისაღწევად.

ამავე დროს ფინი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატში, რომელიც საბოლოო ანგარიშით ახდენს ყველა შეთანხმების რატიფიკაციას, სუფევს სავსებით საწინააღმდეგო ატმოსფერო — სკეპტიციზმის ატმოსფერო. მხარს უჭერენ რა ინერციით ცივი ომის პოლიტიკას, პრესის სააგენტოებსა და გაზეთებს სიმძიმის ცენტრი გადააქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის არსებულ უთანხმოებაზე ინსპექციის საკითხში და აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირი „კიდევ უნდა წავიდეს დათმობაზე“.

ამავე დროს ამერიკის პრესა გამალებით აფუჩეჩებს თავისი ნატოელი პარტნიორის — საფრანგეთის პოლიტიკას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში, პოლიტიკას, რომლის პირდაპირი მიზანია ჩაფუშოს ყოველი შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

ბრძოლა ადამიანური ღირსებისათვის გრძელდება

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იტყობინება:

ზანგი ჯეიმს მერედიტი „თეთრკანიანთა“ უნივერსიტეტში აბარებს პირველი სემესტრის გამოცდებს, ხოლო საერთო საცხოვრებლის კედლებთან და მისისიპის შტატის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ფხიზლად ასრულებენ სამსახურს 300 ჯარისკაცი და ათზე მეტი სასამართლოს აღმასრულებელი.

შეიარაღებული რაზმის ყოფნა უნივერსიტეტის ქალაქის ტერიტორიაზე სრულებითაც არ არის ზედმეტი. რასისტები კვლავ ცხადყოფენ სიძულვილს „ჯეიუტი ზანგისადმი“, იმუქრებიან, რომ გაუსწორდებიან მას. დრო და დრო საერთო საცხოვრებლის მახლობლად, სადაც მერედიტი ცხოვრობს, იმართება ხმაურიანი რასისტული თავყრილობები. ფანჯრებს ესვრიან ქვებს, ბოთლებს, თვითნაკეთ ბომბებს. როცა მერედიტი დაცვის თანხლებით შედის სტუდენტთა სასადილოში, რასისტები ხვდებიან მას ღრიანცელით, კოვზების ჩხარუნით, ყვირილით „შავკანიანო, გაეთრიე აქედან!“.

რასისტები „უყურადღებოდ“ არ ტოვებენ იმ რამდენიმე თეთრკანიან სტუდენტსა და მასწავლებელსაც, რომლებმაც რაღაც ფორმით სიმპათია გამოამჟღავნეს მერედიტისადმი და დაკმეს ეელური ფაშისტური თვითნებობა.

ერთხელ სტუდენტებმა უილიამ ტემპლმა და კრეიგ ნობლსმა მერედიტთან ერთად ისადილეს. „მათ უნდოდათ, — წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი, — შეეცვალათ საზოგადოებრიობის აზრი უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც შეიქმნა სტუდენტთა ხულიგნური დემონსტრაციების შემდეგ გასული ზლის ოქტომბერში“. ამის შემდეგ ორიეი სტუდენტი რასისტულად გაწყობილ უმწიფართა გაავფრებული დეენის ობიექტი გახდა. ნობლმა ვერ გაუძღო დაცინვას და ითხოვა უნივერსიტეტიდან დათხოვნა.

ბანკიცხულთა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უნივერსიტეტის ის პროფესორები და მასწავლებლებიც, რომლებმაც რამდენიმე დაგმეს შუასაუკუნეობრივი ბარბაროსობა, რომელიც მისისიპის ქალაქ ოქსფორდში ვითარდება.

საბჭოთა მემორანდუმი

ნიუ-იორკი, 24 იანვარი. (საკდესი). საერთაშორისო სავაჭრო კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის განსახილველად საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა მემორანდუმი მომავალი კონფერენციის დღის წესრიგის გამო. გუშინ საბჭოთა წარმომადგენელმა გ. პ. არკადიევმა თავის გამოსვლაში ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ პრობლემებზე. გ. პ. არკადიევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საგარეო ვაჭრობას დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის და განაცხადა, რომ მემორანდუმის დებულებებს საფუძვლად უდევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიის გადაწყვეტილებანი.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობაზე

პარიზი, 23 იანვარი. (საკდესი). „ფრანს ნუველმა“ გამოაქვეყნა სრული ტექსტი ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლისა ბულგარეთის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე.

ოსლო, 23 იანვარი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა სრული ტექსტი ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვისა, რომელიც წარმოთქვა ბერლინში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე.

უპრეცედენტო ხელშეკრულება

ბონელ-ანკარა-ლონდონ-ვაშინგტონ-ოტავა-ბონ

პარიზი, 22 იანვარი. (საკდესი) „საფრანგეთი მოჯავშნილია რევანშისტთა პოლიტიკაზე, დეგოლმა უპრეცედენტო ხელშეკრულება დადო ადენაუერთან კავშირის შესახებ“,—ასეთი სათაურით იუწყება გაზეთი „ლუმანიტე“ ახალი შეთანხმების შესახებ საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის ახლადდადებული ხელშეკრულების შორის. ხელშეკრულების მუხლები, რომელიც დღეს დაიდება, აღნიშნავს გაზეთი, ითვალისწინებენ:

რომ ორი ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები ერთმანეთს შეხვდებიან ორჯერ მაინც წელიწადში;

რომ საგარეო საქმეთა მინისტრები, სამხედრო მინისტრები, ეროვნული განათლების მინისტრები და ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრები ერთმანეთს შეხვდებიან ერთხელ კვარტალში;

რომ გენერალური შტაბების უფროსები ერთმანეთს შეხვდებიან რეგულარულად ერთხელ ორ თვეში;

რომ საგარეო საქმეთა სამინისტროების უმაღლესი მოხელეები (პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურულ განყოფილებათა უფროსები) ითათბირებენ ყოველ თვეში.

სამხედრო დარგში, ხაზს უსვამს შემდეგ „ლუმანიტე“, ხელშეკრულება ითვალისწინებს სტაჟიორების გაცვლას, ერთობლივი მანევრების ორგანიზაციას, ბუნდესვერისათვის ბაზების მიცემას საფრანგეთის ეროვნულ ტერიტორიაზე, ერთობლივ ძიებასა და სხვადასხვა ტიპის შეიარაღების წარმოებას, სტრატეგიულ და ტაქტიკურ პრობლემათა განხილვას.

საფრანგეთს თავის ისტორიაში ჯერ არასდროს არ დაუდვია ასეთი ხელშეკრულებანი. და ისიც ვისთან? ერთადერთ ქვეყანასთან ევროპაში, რომელიც აშკარად ამყოფებენს ტერიტორიულ პრეტენზიებს, მილიტარისტულ დასავლეთ გერმანიასთან, სადაც მთავარი პოსტები ყველა დარგში ყოფილ ნაცისტებს უკავიათ. დე გოლ-დენენადენერის ხელშეკრულება, აღნიშნავს გაზეთი „ლუმანიტე“, აკავშირებს ჩვენს ქვეყანას მათ ბედთან.

ფრანგი ხალხი ამას ვერ დაეთანხმება. ამ ხელშეკრულებას იგი დაუპირისპირებს თავის გადაწყვეტილებას მიაღწიოს გაარაღებასა და მშვიდობას, იცხოვროს მეგობრობით ყველა მეზობელთან, მათ შორის გერმანელ ხალხთანაც, თავის სურვილს მშვიდობიანად თანამშრომლოს ყველა სახელმწიფოსთან, როგორც დასავლეთ გერმანიასთან, ისევე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთანაც.

„დე გოლი და ადენაუერი დებენ ხელშეკრულებას „ცივი ომის“ სულისკვეთებით, — ასე ახასიათებს თავის სათაურში გაზეთი „ლიბერასიონი“ საფრანგეთის დედაქალაქში მიმდინარე მოლაპარაკებას.

ბურჟუაზიული პრესა თვალსაჩინო ადგილს ბეჭდავს ცნობებს იმის შესახებ, რომ დაიდება საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულება, ამავე დროს აღიარებს, რომ ეს ხელშეკრულება არ გამოიწვევს ორი ქვეყნის საზოგადოებრიობის დიდ „ენთუზიაზმს“.

უკიდურესი მემარჯვენე გაზეთი „ორორი“ ამასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს, რომ ეს ხელშეკრულება შეიძლება გადაიქცეს „საშიში ავანტიურის ამოსავალ წერტილად“.

დე გოლისა და ადენაუერის საბოლოო შეხვედრა

პარიზი, 23 იანვარი. (საკდესი). დღეს კანცლერი ადენაუერი ელისეს სასახლეში შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლს. როგორც აქ ფიქრობენ, ამ უკანასკნელი შეხვედრის დროს ისინი განიხილავენ „საერთო ბაზარში“, ინგლისის შესვლასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

კოსმონავტი—3

მედანში მიემგზავრება

ჯაკარტა, 23 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტი ანდრიან ნიკოლაევი მესამე დღეა განაგრძობს ინდონეზიის გაცნობას.

დღეს იგი ჯაკარტიდან გაფრინდა მედანში — ჩრდილოეთ სუმატრის ცენტრში.

ბოლონეთი

ბოლონეთის 1863 წლის აჯანყების 100 წლისთავი

საგრძოლო თანამეგობრობა

ბოლონეთი ანუ რეჩ პოსპოლიტა, როგორც მას ეწოდებოდა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მიტაცებულ იქნა მონარქიული რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის მიერ. რუსეთი, პრუსია და ავსტრია „წმიდა სამების სახელით“ პოლონეთის გაყოფის საბაბად აყენებდნენ პოლონეთის არეულობას, რომელიც თითქოს საფრთხეს უქმნიდა მეზობელ ქვეყნებს შორის არსებულ „კეთილ ურთიერთდამოკიდებულებას“.

საერთოდ, პოლონელი ხალხი, ისევე როგორც მეფის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი მრავალი სხვა ხალხი, განსაკუთრებით კი მილიონობით მშრომელი, განიცდიდა მკაცრ ეკონომიურ შევიწროებას, პოლიტიკურ უუფლებობას და ეროვნულ ჩაგვრას. ყოველივე აღნიშნული პოლონელ ხალხში იწვევდა სამართლიან უკმაყოფილებას, წინააღმდეგობას და ბრძოლას პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის.

მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის მიზნით მეფის მთავრობამ 1863 წლის დამდეგს განიზრახა ძალმომრეობით ჩამოეშორებინა ხალხი მოძრაობისაგან რევოლუციურად განწყობილი პოლონელი ახალგაზრდობა. ამიტომ მეფის ხელისუფლებამ გამონაკლისის წესით გამოაცხადა ჯარში გასაწვევი პოლონელი ახალგაზრდობის სარეკრუტო შეკრება სპეციალური სიების მიხედვით, რომლებშიც შეტანილი უნდა ყოფილიყვნენ ეჭვმეტანილი და თვითმპყრობელობისათვის მიუღებელი ახალგაზრდები.

პოლონეთის ცენტრალურმა ეროვნულმა კომიტეტმა ახალგაზრდობას მოუწოდა წინააღმდეგობა გაეწია, ტყეში გახიზნულიყო. 1863 წლის 14 იანვარს ღამით მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები ვარშავაში ძალმომრეობით შეუდგნენ სარეკრუტო შეკრებას. ცენტრალურმა კომიტეტმა ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდა.

პოლონეთის აჯანყებამ იფეთქა 1863 წლის 23 იანვარს. აჯანყებულები ერთდროულად თავს დაესხნენ მეფის რუსეთის ჯარების გარნიზონებს პოლონეთის ტერიტორიის 15 პუნქტში.

აჯანყებამ მალე მოიცვა პოლონეთი მოიცვა. ეს იყო პოლონელი ხალხის XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გამოწვეული მეფის მთავრობის დიდმპყრობელური შოვინისტური პოლიტიკით, რომელიც „ასე არაადამიანურად და ასე ურცხვად ჩაგრავდა“ (ვ. ი. ლენინი) პოლონეთს. პოლონელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იფეთქა პოლონეთის რევოლუციური განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგით. ამ სამართლიან ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციური შლიახტა, მუშები, გლეხები, ქალაქების დემოკრატიული ფენები, მოსწავლე ახალგაზრდობა და სხვ. „მაშინ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — რევოლუციური იყო სწორედ პოლონეთი მთლიანად, არა მარტო გლეხობა, არამედ თავადაზნაურობის მასაც“.

პოლონეთის აჯანყებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა რუსეთის რევოლუციურად განწყობილ ფენებში. ყველასათვის ცნობილია 1863 წლის მოწოდება „რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისადმი“, გამოშვებული „მიწა და თავისუფლება“-ს ორგანიზაციის მიერ, რომელიც მგზნებარედ მიმართავდა პოლონეთში გაგზავნილ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს იარაღი შეებრუნებინათ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ალექსანდრე ივანეს-ძე გერცენი მგზნებარედ უჭერდა მხარს პოლონეთის აჯანყებას; თავის წერილებში, რომლებიც იბეჭდებოდა „კოლოკოლში“, იგი მკაცრად ესხმოდა თავს მეფის თვითმპყრობელობას და ამხილებდა მის ვერაგობას. ამავე დროს ა. გერცენი და ნ. ოგარიოვი მნიშვნელოვან ნივთიერ დახმარებას უწევდნენ მებრძოლ პოლონელ პატრიოტებს.

გულისხმიერ თანაგრძნობას პოლონელი ხალხისადმი გამოთქვამდა დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატი ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი.

როგორი გამოხმაურება ჰპოვა პოლონეთის 1863 წლის აჯანყებამ საქართველოში?

პოლონეთის 1863 წლის აჯანყების უშუალო მოწმე იყო ახალგაზრდა ქართველი საზოგადო მოღვაწე პეტრე გორგიგის-ძე ნაკაშიძე (1838-1895), რომელმაც დაბეჭდა თავისი „სამგზავრო წერილების“ პირველი წიგნი ილია ჭავჭავაძისეულ ეურნალ „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის მეორე ტომში.

1863 წლის დასაწყისში პეტრე ნაკაშიძე, როგორც ტერისტი მიემგზავრებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში პოლონეთზე გავლით. იგი პეტერბურგიდან გავიდა 27 მარტს და უკვე 31-ს იყო ქალაქ ვარშავაში. „სამგზავრო წერილების“ ავტორი უშუალო მეთვალყურე გახდა პოლონეთის 1863 წლის აჯანყებისა, რომელმაც 23 იანვარს იფეთქა. ავტორი მკითხველს მოუთხრობს თავისი მგზავრობის შთაბეჭდილებებს. საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებს თვითმპყრობელობის მანკიერებას, აშფოთებს თავის სიმპათიას აჯანყებული პოლონელების მიმართ. იგი ლაპარაკობს მეფის მთავრობის ჯარებთან უთანასწორო ბრძოლაში პოლონელი პატრიოტების მიერ უხვად დაღვრილ სისხლზე, საკმაო ადგილს უთმობს მსჯელობას „აჯანყებულ პოლონელთა ბრძოლის ხერხებზე და სხვ.

პეტრე ნაკაშიძის „სამგზავრო წერილების“ შინაარსი ნათლად მეტყველებს, რომ ქართველი ხალხის, პოლონელებისავით ჩაგრული ხალხის შვილი კარგად იყო გარკვეული მომე პოლონელების გასაჭირში, მათ სწრაფვაში მოეპოვებინათ მშობლიური ქვეყნისათვის ეროვნული დამოუკიდებლობა. მეფის თვითმპყრობელობის მრავალრიცხოვან სამხედრო ძალებთან პოლონელი ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში წერილების ავტორი სულით და გულით მხარს უჭერდა პოლონელი მებრძოლი პატრიოტების სამართლიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

პ. ნაკაშიძის წერილები უფრო მეტად აღრმავებდა და განამტკიცებდა მეგობრულ ურთიერთობას ქართველი ხალხისა და პოლონელი ხალხის შვილებს შორის.

ორალური მხარდაჭერასთან ერთად თბილისისა და საქართველოს რევოლუციურ-დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ, მსგავსად რუსეთისა, ნივთიერი დახმარება გაუწია პოლონელ პატრიოტებს მათს სამართლიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ამჟამად დადგენილია, რომ, მოსკოვის, პეტერბურგის და რუსეთის სხვა ქალაქების მსგავსად, ქალაქ თბილისშიც მოწყობილა ფულადი სახსრების შეგროვება პოლონელი პატრიოტების დასახმარებლად. ასე რომ დღემდე ცნობილი იმ ქალაქების სიაში, რომლებშიც მოეწყო ფულის შეგროვება აჯანყებული პოლონელების სასარგებლოდ, მართებულად უნდა დავასახელოთ საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

ამასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა ფულის შეგროვებისა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ადგილებშიც. თბილისში ფულის შეგროვება მოეწყო 1863 წლის გაზაფხულზე. შეგროვებული თანხა ექიმ პ. ი. სობოლშჩიკოვის მეუღლის მეშვეობით ქალაქ ოდესაში გადაუგზავნიათ. ოდესაში ჩასულმა სობოლშჩიკოვის მეუღლემ ურთიერთობა დაამყარა იქ მცხოვრებ პოლონელ პატრიოტებთან, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ პოლონეთში მოქმედ სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელ ცენტრალურ კომიტეტთან, და თბილისიდან ჩატანილი თანხა მათი საშუალებით გადაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

ამრიგად, საქართველოს რევოლუციურ-დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ ძმურად გაუწოდა ხელი მებრძოლ პოლონელებს და აღმოუჩინა მათ მორალური და ნივთიერი დახმარებაც...

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი მაღალ შეფასებას აძლევდნენ პოლონეთის 1863 წლის აჯანყებას, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მას და ახასიათებდნენ, როგორც პროგრესული მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო საზოგადოებრივ მოვლენას. „პოლონეთის 1863 წლის აჯანყება,— წერდნენ ისინი, — რომელმაც გამოიწვია ინგლისელი და ფრანგი მუშების ერთსულოვანი პროტესტი მათი მთავრობების საერთაშორისო ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ, გახდა ამოსავალი პუნქტი ინტერნაციონალისა, რომელიც შექმნილი იყო დევნილი პოლონელების მონაწილეობით“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტომი, XV, გვ. 54, რუსულ ენაზე).

ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი პოლონელი ხალხის XIX საუკუნის 60-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. „ცნობილია, — წერდა ლენინი კლასიკურ ნაშრომში „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“, — სანამ რუსეთისა და სლავური ქვეყნების უმრავლესობის ხალხთა მასები ჯერ კიდევ სალოთას ძილით იყვნენ მოცული, სანამ ამ ქვეყნებში არ იყო დამოუკიდებელი, მასობრივი, დემოკრატიული მოძრაობანი, ფლიახტში განმათავისუფლებელ მოძრაობას პოლონეთში უზარმაზარი, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა, არა მარტო სრულიად რუსეთის, არა მარტო სრულიად სლავური, არამედ სრულიად ევროპული დემოკრატიის თვალსაზრისითაც“ (თხზულებანი, ტომი 20, გვ. 531).

ქართველი ხალხი, რომელიც მუდამ ერთგული იყო ხალხთა ძმობის, მეგობრობის დიადი იდეებისა, დღეს პოლონეთის აჯანყების 100 წლისთავზე გულით ესალმება თავისუფალი პოლონეთის მშრომელებს და უსურვებს მათ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

პროფ. იას. ხუციშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ა. მეტავანაძე

გაჩდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1914 წლიდან, ძველი რევოლუციონერი, დამსახურებული ექიმი, პროფესორი გიორგი (ანსენის-ძე) მეტავანაძე.

გ. ა. მეტავანაძე დაიბადა 1895 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ რობში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1912-1914 წლებში სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, იქვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ქ. კიევში, უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში ხელმძღვანელობდა კიევის უნივერსიტეტის კავკასიელ სტუდენტთა შეიარაღებულ რაზმს.

1917 წელს გ. ა. მეტავანაძე საქართველოში დაბრუნდა. თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის დავალებით ენერგიული მუშაობა გააჩაღა ტყიბულის პარტიულ ორგანიზაციაში.

1917-1919 წლებში გ. მეტავანაძე თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრია. იგი მუშაობს პროფკავშირების ხაზით. 1913 წლის თებერვალში მისი უშუალო მონაწილეობით თბილისში შეიქმნა პროფკავშირთა არალეგალური მუშათა ცენტრი, რომელმაც მოკლე დროში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მუშათა ფართო მასებში. 1918 წლის ოქტომბერში იგი აირჩიეს საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სამდივნოს შემადგენლობაში. 1919 წლის იანვარში გ. მეტავანაძე მენშევიკებმა დააპატიმრეს და გადაასახლეს ბაქოში, სადაც განაგრძობდა რევოლუციურ მუშაობას. 1919-1920 წლებში რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული მუსავატელთა მიერ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გ. ა. მეტავანაძე მუშაობდა სსკავდასტვა პასუხსაგებ თანამდებობებზე [illegible] სახალხო მეურნეობის [illegible] [illegible] კავკასიის რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდიუმის წევრი, გაზეთების „გუდოკის“ და „ზაკავკაზსკი ეელეზნოდოროჟნიკის“ რედაქტორი.

1924 წელს გ. მეტავანაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, 1925-1938 წლებში მუშაობდა ორდინატორად, ასისტენტად და შემდეგ დოცენტად. 1939 წელს მან დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. იმავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. დიდი სამამულო ომის წლებში გ. მეტავანაძე იყო ერთ-ერთი წამყვანი ქირურგი-კონსულტანტი ევაკოჰოსპიტალში, შემდეგ მუშაობდა ცენტრალური რესპუბლიკური ჰოსპიტლის მე-4 განყოფილების უფროსად, ხოლო 1948 წლიდან — საქართველოს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგედ. მას ოთხმოცამდე სამეცნიერო შრომა აქვს გამოქვეყნებული.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ბოლშევიკი მეცნიერის, ხალხის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის გ. ა. მეტავანაძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, მედლებით და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარჩინებულის ნიშნით.

გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანის გ. ა. მეტავანაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ბგრძოლა ადამიანური ღირსებისათვის გრძელდება

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იტყობინება:

ზანგი ჯეიმს მერედიტი „თეთრკანიანთა“ უნივერსიტეტში აბარებს პირველი სემესტრის გამოცდებს, ხოლო საერთო საცხოვრებლის კედლებთან და მისისიპის შტატის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ფხიზლად ასრულებენ სამსახურს 300 ჯარისკაცი და ათზე მეტი სასამართლოს აღმასრულებელი.

შეიარაღებული რაზმის ყოფნა უნივერსიტეტის ქალაქის ტერიტორიაზე სრულებითაც არ არის ზედმეტი. რასისტები კვლავ ცხადყოფენ სიძულვილს „ჯეიუტი ზანგისადმი“, იმუქრებიან, რომ გაუსწორდებიან მას. დრო და დრო საერთო საცხოვრებლის მახლობლად, სადაც მერედიტი ცხოვრობს, იმართება ხმაურიანი რასისტული თავყრილობები. ფანჯრებს ესვრიან ქვებს, ბოთლებს, თვითნაკეთ ბომბებს. როცა მერედიტი დაცვის თანხლებით შედის სტუდენტთა სასადილოში, რასისტები ხვდებიან მას ღრიანცელით, კოვზების ჩხარუნით, ყვირილით „შავკანიანო, გაეთრიე აქედან!“.

რასისტები „უყურადღებოდ“ არ ტოვებენ იმ რამდენიმე თეთრკანიან სტუდენტსა და მასწავლებელსაც, რომლებმაც რაღაც ფორმით სიმპათია გამოამჟღავნეს მერედიტისადმი და დაგმეს ეელური ფაშისტური თვითნებობა.

ერთხელ სტუდენტებმა უილიამ ტემპლმა და კრეიგ ნობლსმა მერედიტთან ერთად ისადილეს. „მათ უნდოდათ, — წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი, — შეეცვალათ საზოგადოებრიობის აზრი უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც შეიქმნა სტუდენტთა ხულიგნური დემონსტრაციების შემდეგ გასული ზლის ოქტომბერში“. ამის შემდეგ ორიეი სტუდენტი რასისტულად გაწყობილ უმწიფართა გაავფრებული დეენის ობიექტი გახდა. ნობლმა ვერ გაუძღო დაცინვას და ითხოვა უნივერსიტეტიდან დათხოვნა.

ბანკიცხულთა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უნივერსიტეტის ის პროფესორები და მასწავლებლებიც, რომლებმაც რამდენიმე დაგმეს შუასაუკუნეობრივი ბარბაროსობა, რომელიც მისისიპის ქალაქ ოქსფორდში ვითარდება.

ნერუს გამოსვლა პარლამენტში

დელი, 23 იანვარი, (საკდესი). დღეს ინდოეთის პარლამენტში პრემიერ-მინისტრ ნერუს გამოსვლით დაიწყო დისკუსია ექვსი მოუმხრობელი ქვეყნის კოლომბოს კონფერენციის წინადადებათა გამო. როგორც ნერუმ განაცხადა, ინდოეთის მთავრობამ პრინციპულად მიიღო ეს წინადადებანი როგორც საფუძველი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მოლაპარაკებისა, ამასთან დაიტოვა უფლება დაიცვას თავისი თვალსაზრისი ზოგიერთ კონკრეტულ ტერიტორიულ საკითხზე.

ნერუმ აგრეთვე განაცხადა, რომ კოლომბოდან მიღებულ დეპეშაში ცეილონის პრემიერ-მინისტრი სირიმავო ბანდარანაიკე აცნობებს ინდოეთის მთავრობას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ აგრეთვე პრინციპულად მიიღო კოლომბოს კონფერენციის მონაწილეთა წინადადებანი. ნერუმ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ყველა შესაძლებლობის გამოყენება, რათა მშვიდობიანი გზით მოწესრიგდეს სასაზღვრო კონფლიქტი ჩინეთთან.

საბჭოთა კავშირი აფრიკის კონტინენტზე

საბჭოთა კავშირი დიდ ეკონომიურ დახმარებას უწევს აფრიკის ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. საბჭოთა სპეციალისტების მონაწილეობით შენდება სამრეწველო საწარმოები. საბჭოთა კავშირიდან იგზავნება ტექნიკა, პროდუქტები, ფართო მოხმარების საქონელი. უკანასკნელ ორ წელიწადში სსრ კავშირიდან გვინეის რესპუბლიკაში გაიგზავნა ორი ათასზე მეტი სხვადასხვა ავტომანქანა, ასობით ტრაქტორი, კომბაინი, ჩარხი, მძრავი ელექტროსადგური და ბევრი სხვა რამ. საბჭოთა ტექნიკა ჩინებულად მუშაობს ტროპიკული პავის პირობებში.

მარცხენა სურათზე: „მოსკვიჩის“ მარკის მსუბუქი მანქანები კონაკრის ქუჩებში. აფრიკელებს სძულთ კოლონიზატორების მიერ შექმნილი ფედერაცია როდეზიისა და ნიასალენდისა.

ბლანტაირში (ნიასალენდი) გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია. (სურათზე მარჯვენივ) მისმა მონაწილეებმა ქუჩებში გაატარეს კუბო წარწერით „ამ კუბოში როის ფედერაციის ცხედარი ასვენია“ (რასისტი როი ველენსკი ფედერაციის პრემიერ-მინისტრი).

ფოტოები ვ. ხუხლაევისა და აპ-საკდესისა.

ხალხების ფურგს უკან

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. (საკდესი). ვაშინგტონში წარმოებს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების მაგარეო საქმეთა მინისტრ დინ რასკისა და არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრ კარლოს მუნოს შორის, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როგორც აღნიშნულია გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის ტედ შულცის ცნობაში, მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები იმის შესახებ, რომ მიიღონ „სასწრაფო და ეფექტიანი კოლექტიური ღონისძიებანი“ კუ

გამოჩენილი მეცნიერი

სახელოვან ქართველ მეცნიერს აკადემიკოს ალექსანდრე პეტრეს-ძე წულუკიძეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართული საბჭოთა ქირურგიული სკოლის შექმნასა და განმტკიცებაში.

ა. წულუკიძის კალამს ეკუთვნის 120-მდე ნაშრომი ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, მათ შორის 15 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე გამოცემული უროლოგიის პირველი სახელმძღვანელების აუტორი ა. წულუკიძეა. მის მიერვე რუსულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელები „საშარდე და სასქესო ორგანოების ქირურგიული დაავადებანი", „ოპერაციული უროლოგიის ნარკვევები" დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა უროლოგებს შორის. სახელმძღვანელო „საშარდე და სასქესო ორგანოების ქირურგიული დაავადებანი" თარგმნილია ჩინურ ენაზე და გამოიცა ქ. პეკინში 1958 წელს. ახლახან მან გამოაქვეყნა უროლოგიის ფუნდამენტალური სახელმძღვანელო „უროლოგიური ქირურგიის საფუძვლები".

ა. წულუკიძის მეცნიერული ინტერესი ქირურგიისა და უროლოგიის მრავალ საკითხს მოიცავს, მაგრამ თავის მოღვაწეობაში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს ისეთ პრობლემებს, როგორიც არის ქირურგიულ ინფექციოსან ბრძოლა; საშარდე გზების კენჭოვანი დაავადება; წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფია; შარდის ბუშტის სიმსივნეები; საქართველოში მედიცინის ისტორიის საკითხები.

დიდ ინტერესს იწვევენ მისი ნაშრომები, რომლებიც განხილავენ ქირურგიასა და უროლოგიაში ბაქტერიოფაგოთერაპიის გამოყენებას. ამ საკითხზე მისი ხანგრძლივი და გატაცებული მუშაობის შედეგად დამტკიცდა, რომ ბაქტერიოფაგით მკურნალობა უთუოდ ეფექტიანია.

საშარდე სისტემის კენჭოვანი დაავადება და მასთან ბრძოლა ა. წულუკიძის ყურადღებას თავიდანვე იპყრობდა. მის სამეცნიერო შემოქმედებაში კენჭოვანი დაავადების შესახებ დაწერილ ნაშრომებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მას შემუშავებული აქვს ამ დაავადების ოპერაციული მკურნალობის რამდენიმე ორიგინალური წესი.

დიდი ყურადღების ღირსია გამოჩენილი მეცნიერის ნაშრომები, რომლებიც მიძღვნილია შარდის ბუშტის ავთვისებიანი სიმსივნეების ოპერაციული მკურნალობის საკითხებისადმი. ჯერ კიდევ 1955 წელს გერმანიის უროლოგთა XVI კონგრესზე ქ. ჰამბურგში ა. წულუკიძემ გააკეთა მოხსენება შარდის ბუშტის ავთვისებიანი სიმსივნეების რადიკალური ქირურგიული მკურნალობის შესახებ.

1960 წლიდან იგი წარმატებით მიმართავს შარდის ბუშტის ავთვისებიანი სიმსივნეების რადიკალური ქირურგიული მკურნალობის ორიგინალურ წესს.

აღსანიშნავია ა. წულუკიძის ღვაწლი საქართველოში მედიცინის ისტორიის შესწავლის საქმეშიც. მისი წიგნი „XIX საუკუნის ქართველი ექიმები" უთუოდ ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც XIX საუკუნის ქართული მედიცინის ისტორიას ჰქონდა, და დიდად გაუადვილებს მომავალ მკვლევარს საკითხის შემდგომ შესწავლას.

აკადემიკოსი ა. წულუკიძე, როგორც ჩვენი ქვეყნის წამყვანი უროლოგი, ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში.

თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ა. წულუკიძემ გამოზარდა 80-მდე ქირურგი-უროლოგი. მან შექმნა საქართველოში უროლოგიური სკოლა. ა. წულუკიძის ხელმძღვანელობით მისი მოწაფეების მიერ შესრულებულია 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 სადოქტორო დისერტაცია და 30-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია.

მაგრამ აკადემიკოსი ალ. წულუკიძე მარტო გამოჩენილი მეცნიერი, სპეციალისტი-ექიმი და პედაგოგი როდია. იგი აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა. მისი ინიციატივით ჯერ კიდევ 1931 წელს საქართველოში პირველად დაარსდა სისხლის გადასხმის სადგური. 1932 წელს მის კლინიკასთან შეიქმნა ენდოკრინოლოგიური სადგური. 1958 წელს მისი თაოსნობით გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი უროლოგიური დისპანსერი, ხოლო 1959 წელს მისივე ინიციატივით თბილისში დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უროლოგიის ინსტიტუტი.

1949-1953 წლებში ა. წულუკიძე ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა.

აკადემიკოსი ალ. წულუკიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფლის კულტურულ ცხოვრებაშიც და სათანადოდ ეხმარება მას. მაგალითად, იგი არ ივიწყებს იმ კუთხეს, სადაც დაიბადა და გაიზარდა — სოფელ კვახჭირს. ამ სოფლის საექიმო პუნქტს მან შეუძინა საჩუქრად კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია და საჭირო სამედიცინო იარაღი, უწევს სამედიცინო კონსულტაციას თუ სხვა სახის დახმარებას.

საქართველოს უროლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, თბილისის უროლოგთა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე, უროლოგთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საპატიო წევრი, ქირურგთა სრულიად საკავშირო საზოგადოების გამგეობის არაერთგზის წევრი, საქართველოს ქირურგთა საზოგადოების გამგეობის წევრი, გერმანიის უროლოგთა საზოგადოების წევრი, ჟურნალ „უროლოგიის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, დიდი საბჭოთა სამედიცინო ენციკლოპედიის განყოფილება „უროლოგიის" თანარედაქტორი და სხვ. — აი აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის დიდად ნაყოფიერი მოღვაწეობის გზა.

ა. წულუკიძე თბილისის მშრომელთა დეპუტატების ყველა მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ღვაწლმოსილი მეცნიერის დამსახურება. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით და მედლებით.

ა. წულუკიძის სახით ჩვენს ქვეყანას ჰყავს გამოჩენილი ქირურგი-უროლოგი, ფრიად გამოცდილი პედაგოგი, დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

მისი ცხოვრება, მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა, რასაც ახლაც ჩვეული ენერგიით ეწევა, მაგალითია ყველასათვის. საამაყოა, რომ ასეთი სახელოვანი მეცნიერი თავისი ხანგაზმულობის მიუხედავად კვლავაც დგას ხალხის, მედიცინის სამსახურში.

ს. ა რ შ ბ ა ,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ლ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი ,
პროფესორი.

• • •

სურათზე: აკად. ა. წულუკიძე.

ერეკლეს ბიბლიოთეკა

იანვარია, მაგრამ წყალტუბოს რაიონის გეგუთის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დახურულ სათბურებში ბლომად ნახავთ დამწიფებულ პომიდორსა და კიტრს, რეპუბლიკის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს უკვე გაეგზავნა 4 ტონა პომიდორი და ½ ტონა კიტრი.

სურათზე: „ადრეულას" ჯიშის პომიდორის კრეფა გეგუთის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დახურულ სათბურებში.

ფოტო **გ. გერსამიახი.**
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ბიბლიოთეკა — ნორჩ მკითხველებს

საინტერესო და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქალაქ სამტრედიის საბავშვო ბიბლიოთეკა. მას აქვს 18.200 წიგნი, ემსახურება 1763 ნორჩ მკითხველს.

ბიბლიოთეკასთან შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს ლიტერატურისა და წიგნის მეგობრის წრეები, სისტემატურად ეწყობა თემატიკური გამოფენები, ფოტოსტენდები.

ნორჩ მკითხველთათვის გაიმართა მკითხველთა კონფერენცია და ლიტერატურული დილა თემაზე: „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი", „ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმის დროს", „წიგნი ცოდნის წყაროა".

ი. გ ო გ ო ლ ა ძ ე .

„აგიტატორის გლოკნოტი" № 2

გამოვიდა ჟურნალ „აგიტატორის ბლოკნოტის" მორიგი, მეორე ნომერი. ჟურნალში დაბეჭდილია: **ც. გელაშვილი** — ვცხოვრობთ მთავარით — წარმოების საქმეებით; **ბ. პაიკაძე** — შეჯიბრების დიადი ძალა — წარმოების განვითარების სამსახურში; **ა. გრიგოლია** — სოფლის აგიტატორები ამ დღეებში; მომქირნეობა და კიდევ მომქირნეობა და სხვ.

ბაკურიანი
სპორტი

ბაკურიანი - პოლანდია

ტრიუმფალური ნაბიჯით...

გუშინ გროსმაისტერმა იური ავერბახმა ბევერვიიკიდან ტელეფონით გვაცნობა:

მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა თავის შემოქმედებით, მრავალფეროვანი, შემტევი და ეფექტური თამაშით ჰოლანდიელები მოხიბლა. ცხადია, აქ მის წინაალმდეგ მთელი მონდომებით, დაძაბვით იბრძვიან, რათა ყანმს მაინც მიაღწიონ, მაგრამ ეს ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა.

მეშვიდე ტურში ნონას „მსხვერპლთა" რიგებს კიდევ ერთი მეტოქე შეემატა. ეს იყო იუგოსლავიელი ბაჩიჩი, რომელიც ჩემპიონის მარწუხებში აღმოჩნდა და ფარხმალი დაყარა.

მსოფლიოს ჩემპიონს კვალდაკვალ მისდევენ იუგოსლავიელი იოვანოვიჩი და რუმინელი ნიკოლაუ. მეშვიდე ტურში პირველმა დაამარცხა ფრეიპენი, მეორემ — ვინინგენი. მოულოდნელი აღმოჩნდა გომბაჩისა და ჰეემსკერკის პარტია, სადაც მასპინძელთა წარმომადგენელმა ჰეემსკერკმა მეორე წარუმატებლობა იგემა. ლილიაკტიმერის პარტია გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ნიკოლაუმ მოუგო ლილიაკს, გომბაჩმა — ტიმერსა და ბაჩიჩს. გაფრინდაშვილი-ფრეიპენის გადადებული პარტია არ გათამაშებულა.

შვიდი ტურის შემდეგ გაფრინდაშვილს 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ნიკოლაუსა და იოვანოვიჩს — ექვსი-ექვსი ქულა.

უკანასკნელისწინა მერვე ტურში გაფრინდაშვილი შეხვდება ნიკოლაუს.

ბ. პარმამ წაიბორძიკა

ბევერვიიკის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი „უმაღლეს დონეზე" დასასრულს უახლოვდება. უკანასკნელ ორ ტურში ბრძოლის სიმძაფრემ იმატა, რასაც სიურპრიზებიც მოჰყვა.

მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონმა ჰაბუკთა შორის იუგოსლავიელმა პარმამ, რომელიც დიდხანს იყო სატურნირო ცხრილის სათავეში წარუმატებლობა გიცადა. მე-14 ტურში მან წააგო პარტია ბილნიკთან, ხოლო მე-15 ტურში ყაენმი გააკეთა ტრიფუნოვიჩთან.

15 ტურს შემდეგ გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა ჰოლანდიის წარმომადგენელი დონერი, რომელსაც 14-დან 10 ქულა აქვს. მეორე, მესამე და მეოთხე ადგილებს იყოფენ ბრონშტეინი, პარმა და ივკოვი, რომლებიც ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან.

სპორტული ქრონიკა

☐ **გუშინ** ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ზამთრის პირველობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან ამერიკაში გაფრინდნენ ცნობილი საბჭოთა მძლეოსნები ვ. ბრუმელი, ს. ტერ-ოვანესიანი და ვ. ბულიშევი. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩვენი მძლეოსნები გამოვლენ ნიუ-იორკსა და ლოს-ანეკლოსში.

☐ **სსრ კავშირის** ტანვარჯიშის ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა ათი უძლიერესი სპორტსმენის სია. ეიკთა შორის პირველ ნომრად არის ი. ტიტოვი, ჰაბუკთა შორის — თბილისელი მ. ბოგუსი, ქალთა შორის — ლ. ლატინინა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი მ. ნინოშვილი მოხვდა უძლიერესთა ათეულში.

რედაქტორი
დ. მ ე ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი .

ვაქკაცობას უქებენ...

გუშინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომლითაც საქართველოს ოთხი მუშრომელი დაჯილდოებულია მედლით „ყველაზეღაღლილ მებრძოლთა". ამ ადამიანებმა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით გადაარჩინეს სტიქიური უბედურებით დასალუპავად განწირული ადამიანები.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია მათი მამაცობის შესახებ.

☐ ☐

ბრძოლა მტკვრის ტალღებთან

ბავშვობიდანვე იტაცებდა მაქსიმე ზარაგლიანს ცურვა. იგი, რომ იტყვიან, მდინარე მტკვარზე დავაუკაცდა.

გავიდა წლები... ეს ოცდაექვს წელს მიღწეული ვაუკაცი თითქმის ათი წელია, რაც მდინარე მტკვარზე მყვინთავად მუშაობს. იგი მრავალჯერ ჩაბმულა სტიქიასთან ბრძოლაში და მრავალი ადამიანი გადაურჩენია. ამხანაგები მას ხუმრობით ამფიბიას ეძახიან.

...დეკემბრის სუსხიანი დილა იყო. ძველ-რბილში ატანდა მტკვრიდან მონაბერი ქარი. ორთაჭალის ხიდზე მიმავალი ქალი მოაჯირს მოადგა და ადიდებული მდინარის მღვრიე ტალღებს დააცქერდა, თვალი აუკრეფლდა, თავი ვერ შეიმაგრა და მტკვარში გადავარდა, ბობოქარმა ტალღებმა გაიტაცეს.

მაქსიმემ თვალი მოჰკრა ადამიანს, რომელსაც წყალი მიაქანებდა. თვალისდახამხამებაში გაიხადა ტანთ და ყინულოვანი ცივ წყალში გადაეშვა, გამოსტაცა მდინარეს და ნაპირზე გამოიყვანა გონებადაკარგული, ღონემიხდილი ქალი.

პირველი შემთხვევა როდია მაქსიმე ზარაგლიანისათვის, ადამიანი დახრჩობას რომ გადაარჩინა და სიცოცხლე შეუნარჩუნა. ამიტომ უქებენ ამხანაგები მას ვაუკაცობას.

მან პატარები გადაარჩინა

თერჯოლელი კოლმეურნის ასლან კუბლაშვილის ორი ბავშვი პატარა მდინარე თოლაღურის ნაპირებზე საკუთარ ცხვრებს მწყემსავდა. ცხვრები წყლის დასალევად დაბლა დაეშვნენ და გუბეებში ჩამდგარ წყალს დაეწაფნენ. ბავშვები კი იქვე კენჭებით თამაშობდნენ.

უეცრად შხუილი შემოესმათ. აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა. ამ დროს კი მოდიდებული წყალი ფეხებში მოადგათ. ვერც ბავშვებმა და ვერც ცხვრებმა გაქცევა ვერ მოასწრეს. თანდათან მოდიდებულმა წყალმა პატარები ცხვრებთან ერთად აატივტივა. ბავშვებმა კივილი მორთეს. განწირულთა ეს ხმა შემოესმა ზესტაფონის რაიონის ცენტრალური სახანძრო რაზმის ავტომძღოლს ვაჟა მაკარიძეს. იგი ადიდებულ მდინარეში გადაეშვა და პატარებისაკენ გასცურა. სამშვიდობოზე ჯერ ერთი გამოიყვანა, შემდეგ მეორე.

საბჭოთა ხასიათი

ეს მოხდა შარშან ოქტომბერში. ანზორ მუმლაძე, რუსთავის რკინიგზატონის ნაკეთობათა კომბინატის მეარმატურე, ხაშურიდან რუსთავში ბრუნდებოდა. მუხრანის ხიდთან ავტობუსში დაჯდა. ის იყო ანზორმა ადგილი დაიკავა, რომ გარედან ხმა შემოესმა:

— კაცი იხრჩობა, უშველეთ!

ანზორმა უმალვე მტკვრისკენ გაიხედა და დაინახა, თუ როგორ გადაჰყურებდნენ ხიდიდან შეგროვილი ადამიანები წყალში ნახევრადჩაძირულ მოქალაქეს. დაფიქრების დრო აღარ იყო. ხელბარგი იქვე მიატოვა და თვალის დახამხამებაში მდინარეში გადაეშვა, მღვრიე ტალღებში შეცურა. ჩაძირული ტალღებმა ერთხელ კიდევ ამოტივტივეს მაღლა და ის იყო ანზორს ხელი უნდა წაეტანებინა, რომ ტალღებმა სადღაც შორს გადაისროლეს და ჩაძირეს. ანზორმა არ დაუყოვნა და მდინარეში ღრმად ჩაყვინთა. ერთი წუთის განმავლობაში არც ერთი და არც მეორე არავის დაუნახავს. მაგრამ აი ჩაყვინთვის ადგილიდან 50 მეტრის მანძილზე გამოჩნდა ანზორი, რომელიც ცალი ხელით მტკვარს მოარღვევდა, მეორე ხელით კი წყალწაღებული მოჰყავდა.

ცხადია, ანზორს მარტო გაუჭირდებოდა ნაპირზე მისი გამოყვანა, რომ ამ დროს მისთვის მაშველ ნავს არ მოეხწრო.

მთის მდინარეზე

რაჭაში საგლოლოს ხიდზე მიდიოდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი". მას საჭე მოეშალა და ხიდიდან ჭანჭახში გადავარდა. მძღოლი ინჟინერი აფიანი წყალმა სწრაფად გიიტაცა. ამას მანქანიდან თვალი მოჰკრა შოვიკენ მიმავალმა ამბროლაურის ავტოტრანსპორტის კანტორის შოფერმა ვახტანგ იაშვილმა.

ვახტანგი ნაპირიდან გამოუდგა წყალწაღებულს და როდესაც გაუთანასწორდა, გაავებულ მდინარეში გადაეშვა. ვახტანგმა ცალი ხელი თმაში ჩაავლო აფიანს და ნაპირისაკენ გამოსწია. აფიანს ბევრი წყალი გადაეყლაპა.

სწრაფად აღმოუჩინა პირველი საექიმო დახმარება ვახტანგმა მომაკვდავს. გაწეულმა დახმარებამ შედეგი გამოიღო, აფიანი მოსულიერდა.

განთიადის მოციქული

ჟურნალ „საქართველოს მოამბის" გამოცემის 100 წლისთავის გამო

ეს იყო ასი წლის წინათ... პოლიტიკურ მოვლენათა ციკლონებს კომუნიზმის აჩრდილი დასავლეთ ევროპიდან აღმოსავლეთისაკენ მოჰყავდა. რუსი რევოლუციონერი დემოკრატები ხალხს ნაჯახებისაკენ მოუწოდებდნენ... საქართველოში თერგდალეულების მიერ ჩამოტანილი განახლების სიო ქროდა. რუსთაველის ქვეყანა საოთას ძილისაგან იღვიძებდა და ყურს უგდებდა „კოლოკოლის" მოწოდებას — ცოცხლებს მოუუხმობ!

და სწორედ ამ დროს გაისმა „საქართველოს მოამბის" მგზნებარე სიტყვები: „გული სხვა რიგად ჰსცემს, როცა დედამიწაზედ ზამორის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა, და უფრო სხვა რიგათა ჰსცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალი აზრისა... ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრის კი თავის დღეში არა... ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა".

1863 წლის 12 იანვარი (ძველი სტილით) შაბათი დღე იყო ამ დღეს თბილისში გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის" პირველი ნომერი. მისი რედაქტორი და გამომცემელი იყო 26 წლის ილია ჭავჭავაძე. როგორც ისტორიკოსები ამბობენ, ილიამ არ დაარღვია ჟურნალისტის ეთიკა და სტამბაში ღამე უთია თავის პირმშოს. მან კარგად იცოდა, რომ ჟურნალი „საქართველოს მოამბე" ახალ კვალს გაიყვანდა ისტორიულ მოვლენათა ხნულში. იგი მალამოდ დაედებოდა მაშრალთა ნაიარევგულს და აღანთებდა თავისუფლებისათვის.

„საქართველოს მოამბის" პირველი ნომრის სარედაქციო წერილში — „საქართველოს მოამბეზედ" გადმოცემულია ჟურნალის ამოცანები და მიზნები, მისი ლიტერატურული კრედო. ამ წერილში, როგორც ავტორია ახალგაზრდა ილია, ჩანს ავტორის რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა, მისი სიღიადე. სარედაქციო წერილს აქვს იმ ეპოქისათვის საგანგებოდ გარკვეული პროგრამული ხასიათი თითქოს ამ წერილით ქართული კულტურის ისტორია ელოდა ი. ჭავჭავაძეს, თითქოს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის „ბედმა ქართლისა" დროს პირდაპირ შეუკვეთა ამ დიდი ადამიანის მოღვაწეობა.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში ისტორია რადიკალური ლევეულერივით სპობდა რუსეთში ობლომოვებსა და საქართველოში თათქარიძეებს. მაშინდელ საქართველოში თათქარიძეები, არჩილები და დათიკოები ადგილს უთმობდნენ გაბოსა და გიორგას, კაკოსა და ზაქროს. ისტორია თავის სცენაზე სცვლიდა გმირებს, ითხოვდა ახალ ძალებს.

„საქართველოს მოამბის" გამოცემა ახალი წინგადადგმული ნაბიჯია ქართული კულტურის შეკავშირების საქმეში. თუ წარსულში ამ შეკავშირებას ხელს უშლიდა გაუთავებელი ომები, ურდოების შემოსევა, ფეოდალების ერთმანეთთან ქიშპობა. ამ დროისთვის სულ სხვა პირობები შეიქმნა. რუსი რევოლუციონერი დემოკრატების გავლენით ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ფრთა აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ მეცნიერება, ხელოვნება ემსახუროს ხალხს და დიდი კანდელივით გაუნათოს გზა მას უკეთესი მერმისისაკენ.

ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღელქვეშ მყოფი ქართველი ხალხი სტიქიურად გრძნობდა რაღაც შვების მოახლოებას, რომ ცხოვრებაში რაღაც ახალი აზრი იბადებოდა. ამიტომ მეცნიერებამ და ხელოვნებამ, აღნიშნავდა ილია, რომელიც გრძნობს, რომ ეცა სული ახლის გაზაფხულისა, განახლებისა, გრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, ახლა ამ ნაყოფიდან უნდა გამოკრიფოს ახალი თესლი ახალი ცხოვრების გამოსაკვანძავად და მიიტანოს იგი ხალხთა მასების შეგნებამდე.

„ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან". ილიასეული ეს სტრიქონები მუდამ წითელ ზოლად გასდევს ჟურნალ „საქართველოს მოამბის" დამოკიდებულებას მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი. ცხოვრების საჭიროება, ცხოვრებასთან კავშირი — ეს იყო ჟურნალის მუშაობასაც. აი რას წერდა ილია: „რომ ჟურნალი („საქართველოს მოამბე") საჭიროა, ამას თქმა აღარ უნდა. ჟურნალი, როგორც სხვა, ისე ჩვენია, არ არის ერთი ეიკის სურვილის ნაყოფი: მოუვიდა ენი წერისა და გამოსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდახანს არ დაიჭერს. ჩვენა ვსთქვით, რომ ყოველი საჭიროება ცხოვრებიდან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს. მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი".

და რაკი „საქართველოს მოამბეს" ცხოვრებაში ჰქონდა ფესვი გამოკვანძული, იგი ფეხაწყობით მიჰყვებოდა ცხოვრებას და ყოველ ახალშობილ ფაქტს თვალსა და გონებას ადევნებდა. ჟურნალი მთელი თავისი საქმიანობით მაშინდელ მეცნიერებას და ხელოვნებას ხალხისათვის ართმევდა „არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამოშცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა". იგი იჩენდა პრინციპულობას და მომთხოვნელობას ხელოვნების მიმართ და წერდა: „დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა", დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია".

ჟურნალი მკაცრად ამხილებდა ცრუ პატრიოტებს, კარჩაკეტილ ნაციონალისტებს, რომლებიც თავიანთ ხალხში მხოლოდ კარგს ხედავდნენ და თვალს ხუჭავდნენ მისი ცუდი, მახინჯი მხარეების წინაშე „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ. რაცა ჩვენი ,ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოთქვამს მას, რაც არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისთვის არ გვიღალატნია, სხვის მოსაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდია".

დღეს საუკუნე სრულდება მას შემდეგ, რაც გამოიცა ჟურნალ „საქართველოს მოამბის" პირველი ნომერი. ასი წელი ისტორიის ასი ახალი ფურცელია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მერე როგორი! სავსე მთვარის ნათელი, რომელიც წარსულში მწუხრის ზეწრად ეფინა ილიას სამშობლოს, დღეს აღორძინებულ, აყვავებულ სოციალისტურ საქართველოს მიწა-წყალს ანათებს; ყვარლის მთების თეთრი ზოლი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ვეება მილების ალანდებაში სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სივრცეს ერთვის. დიდი ხანია, რაც კაკომ, ზაქრომ კუდიგორის მთები დატოვეს და ახალი ყოფის, ახალი ცხოვრების შენებას შეუდგნენ. მათ აქვთ ზუსტი ორიენტირი. ეს ორიენტირია კომუნიზმი!

გ. ნ ა ბ ჟ ე ბ ი ა .



ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს დ ა რ გ ა ზ ი დ ა ნ

მეჭრთამეებს საკადრისად მიეგზავნათ

ივანოვო. (საქდესის კორ.). თითქმის ერთ თვეს ასამართლებდნენ ივანოვოს საოლქო სასამართლოში მეჭრთამეთა ჯგუფს, რომელიც მოკალათებული იყო ფაბრიკა „წითელი თალკის" საბინაო-კომუნალურ განყოფილებაში.

განყოფილების უფროსი ე. ფ. კორჩაგინა, სახლების მმართველები ა. ვ. ერმიშინა, ნ. ი. პუხოვა და მ. გ. შილინა, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ სამსახურებრივ მდგომარეობას, მთელი რიგი წლების მანძილზე იღებდნენ ქრთამს ფეიერებისაგან ბინების მიცემისა და გაცვლისათვის. მას შემდეგ, რაც საქალაქო საბჭოში ამტკიცებდნენ ახალ სახლებში შესახლების სიებს, საბინაო-კომუნალური განყოფილების მუშაკები თვითნებურად ცვლიდნენ ამ სიებს და შეჰყავდათ ადამიანები, რომლებსაც არ ჰქონდათ ბინის მიღების უფლება.

მეჭრთამეები დიდხანს მოქმედებდნენ დაუსჯელად იმის გამო, რომ ფაბრიკის წესრიგი არ იყო ბინების განაწილებაში. ფაბრიკის პროფკავშირული კომიტეტი და დირექცია არ უწევდნენ კონტროლს სახლებში შესახლების სისწორეს, არ აბამდნენ ამ საქმეში საზოგადოებრიობას.

საოლქო სასამართლომ გათვალისწინა კორჩაგინას დანაშაულის სიმძიმე ხასიათი და მიუსაჯა მას ათი წლის პატიმრობა, ხოლო სხვა მეჭრთამეებს ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ მკაცრად დასაჯა ისინიც, ვინც ქრთამით მიიღო ბინები და ნებაყოფლობით არ განაცხადა ეს საგამომძიებლო ორგანოებში.

** კომუნისტი** Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფ ლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერი ლების — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

25 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ოტელო (მე-7 აბონ. მე-6 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — მესამე სურვილი (მე-7 აბონ. 1-ლი სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე ვხედავ მზეს (მე-11 აბონ. 1-ლი სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ორთეოსი ჯოჯოხეთში ჩადის (მე-11 აბონ. მე-4 სპექტაკლი). **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — სამი უფროსის მსახური, **სანკულტურის** — კოლეგები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტორანდოტი (აბონ. № 33, 5 ს.).

ტელევიზია

25 იანვარი

18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „სინიტრიონ," 19.20 — გადაცემა — „მნიშვნელოვანი სიახლე", 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — სატელევიზიო ,ჟურნალი „სპორტი", 20.30 — რუსული კამერული მუსიკის კონცერტი, 20.50 — კინოჟურნალი, 21.00 — ახალი ამბები, 21.15 — მხატვრული ფილმი.

კინო

25 იანვარი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — ეკვმიტანილი, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, დიდუბე, კოლხიდა** — **26 იანვარი**

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური მუსიკა, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს შინის ანბანი, **თბილისი** — სიკვდილმისჯილი გიიტა, **კომკავშირელი** — ომი და მშვიდობა (I-II სერია), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ერთოლელი, **ოფიცერთა სახლი** — უმწიფარი, **კოლმეურნე** — მამაცი ადამიანები, **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — კაპიტან გრანტის შვილები.

26 იანვარი

პირველი პროგრამით

08.30 — „ეროვნული ხალხური მუსიკის კონცერტი, 09.10 — ს. ცინცაძე. ფრაგმენტები ბალეტ „ცისფერი მთის სიუჟეტიდან", 11.15 — ბეთჰოვენი. კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, 12.00 — ნარკვევი: „ჩვენი შეკერა", 12.15 — კონცერტი ა. მაჭავარიანის ნაწარმოებები